სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნათია ბაიაძე

ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (ეთნიკური ქისტების მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გორი

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი **„ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაციის საკითხი ქართულ საზოგადოებაში (ეთნიკური ქისტების მაგალითზე)“,** ეძღვნება პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემების შესწავლას, მათი ინტეგრაციის საკითხს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტეგრაციის პროცესზე.

ინტეგრაციის პრობლემა გამოიხატება ქისტ და ქართველ ახალგაზრდებს შორის გახშირებული კონფლიქტების არსებობაში, ასევე საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულებით ქისტური თემის მიმართ. პრობლემას აქტუალურს ხდის ისიც, რომ ყოველწლიურად იმატებს იმ ქისტების რაოდენობა, რომლებიც ტოვებენ პანკისის ხეობას და სირიის ომში მიდიან. ქისტების გადინება ხეობიდან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ინტეგრაციის პროცესზეც მწვავედ აისახება.

ნაშრომის მიზანია პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის თავისებურებების შესწავლა. ამ საკითხზე განხორციელებული კვლევებიდან ჩანს, რომ ქისტების მიმართ სახელმწიფო ინდიფერენტულია.

სახელმწიფო არ ზრუნავს ქისტების ცნობიერების ამაღლებაზე, უფრო მეტიც, არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ინტეგრაციის პროცესს გაამარტივებს. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა, სიღარიბე, რაც მიგრაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არაბული ქვეყნებიდან ისლამის შემოდინება, რაც ინტეგრაციის პროცესს საგრძნობლად აფერხებს.

ნაშრომში გამოვიყენეთ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, რომელთა საფუძველზე ნათლად ჩანს ეთნიკური უმცირესობების პრობლემები და გამოწვევები ინტეგრაციის საკითხში. ამასთანავე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების კუთხით.

Annotation

Natia Baiadze

Ethnic Minorities and the Issue of Their Integration in Modern Georgian Society (on the Example of Ethnic Kists)

The Master's thesis **„Ethnic Minorities and the Issue of Their Integration in Georgian Society (on the Example of Ethnic Kists)“** is dedicated to the study of the problems of ethnic minorities living in the Pankisi Gorge, the issue of their integration into modern Georgian society and related problems. The work focuses on the factors that influence the integration process.

The problem of integration is expressed in the existence of frequent conflicts between Kist and Georgian youth, as well as the stereotypical attitude of the society towards the Kist community. The problem is made actual that the number of Kists, leaving the Pankisi Gorge and going to war in Syria, is increasing every year. The outflow of Kists from the gorge, along with other important issues, is also reflected acutely on the integration process.

The aim of the work is to study the peculiarities of the process of integration of Kists living in the Pankisi Gorge into the Georgian society. Studies on this issue show that the state is indifferent towards the Kists.

The state does not care about raising awareness of the Kists, moreover, there is no action plan that will facilitate the integration process. Another important problem is poverty, which can be named as one of the contributing factors for migration. Particularly noteworthy is the influx of Islam from Arab countries, which hinders significantly the integration process.

In the work, we used studies conducted by various organizations, which clearly show the problems and challenges of ethnic minorities in integration issues. In addition, the work focuses on the changes that have taken place in terms of ethnic minorities in recent years.

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი 1. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის შესაძლებლობები ---------- 7

1.1. ეთნიკური მრავალფეროვნება, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ------ 7

1.2. განათლების უფლება ეთნიკურ უმცირესობებში ---------- 16

1.3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება --------- 22

1.4. ეთნიკური უმცირესობების პრობლემები ---------- 32

თავი 2. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება და მათი ინტეგრაციის საკითხები ---------- 37

2.1. თვლიან თუ არა ქისტები თავიანთ სამშობლოდ საქართველოს? ---------- 37

2.2. ქისტების გაუცხოება ეთნიკურად ქართულ მოსახლეობასთან ---------- 40

2.3. ქალის როლი ეთნიკურ საზოგადოებაში ქისტური თემის მაგალითზე ---------- 44

დასკვნა ---------- 47

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 49

შექმნილი სიტუაცია, რაც საკმაოდ პრობლემატურ ფონს ქმნის. ეთნიკური უმცირესობების თანაცხოვრება სახელმწიფოს ადგილობრივ ერთან საკმაოდ ძნელია. ეთნიკური უმცირესობების ერის, როგორც სოციალური პროდუქტის, დამახასიათებელი ნიშნები რადიკალურად განსხვავდება სხვა ერის ნიშნებისაგან, რაც ერთმანეთში უთნხმოების და კონფლიქტის კერებს წარმოშობს. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ გამოცდილებას, ბევრი მაგალითია, როდესაც ერთი ერი მეორესთან თანაცხოვრებით განიცდის ასიმილაციას და მისი გავლენის ქვეშ გადადის, რაც საკმაოდ ხანგრძლივ პროცესთან და ბევრ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია თანაცხოვრების ისეთი მოდელის შერჩევა, რომელიც არ დააზარალებს სახელმწიფოს ადგილობრივ მკვიდრს და ამავდროულად ხელს შეუწყობს ეთნიკურ უმცირესობის თვითრეალიზაციას და ჩართულობას მიმდინარე პროცესებში. დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით ეთნიკური უმცირესობები კონცენტრირებული არიან კონკრეტულ ადგილებზე, სადაც მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია და ნაკლებად უწევთ კომუნიკაცია ადგილობრივ წარმომადგენლებთან, რაც ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს ენობრივი თუ კულტურულ-ღირებულებითი ბარიერების წარმოქმნას. ასეთი ბარიერები ხდება წინაპირობა კულტურათაშორისი დიალოგის პრობლემის წარმოქმნისა, რაც შემდგომ ტრანსფორმირდება მნიშვნელოვან დაბრკოლებად.

სამაგისტრო ნაშრომი **„ეთნიკური უმცირესობები და მათი ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში (ქისტური თემის მაგალითზე)“,** ეხება ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხის შესწავლას. საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, სადაც მოსახალეობის 16%-ს ეთნიკური უმცირესოებები შეადგენენ. ჩვენი ქვეყანა ისტორიულად და კულტურულად თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მუდამ იყო სხვადასხვა ცივილიზაციის გადაკვეთის ადგილი. კომუნისტური წყობილების დამხობის შემდეგ საქართველოს დემოგრაფიული კომპოზიცია შეიცვალა და ეთნიკური უმცირესობების ხვედრითი წილი მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა იყო - ეთნიკურმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა გაუსაძლისი პირობები შექმნა, ქვეყნიდან ემიგრაციის მასშტაბი ძალზე გაიზარდა და საქართველო დატოვა ბევრმა მოქალაქემ.

ეთნიკური უმცირესოებების სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური ინტეგრაციის საკითხი კვლავ მწვავედ დგას თანამედროვე საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ბევრი ინიციატივა და პროექტი განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან, მნიშვნელოვანი წინსვლა არ იგრძნობა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით. ეთნიკური უმცირესობების ნაწილი დისტანცირებულია ქართულ საზოგადოებასთან და ერთგვარ ავტონომიურ რეჟიმში ცხოვრობს. ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, ქისტების პრობლემები საკმაოდ აქტუალურია. სახელმწიფო ენის არცოდნა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მონაწილეობაში სუსტი ჩართულობა, ინფორმაციის ხელმიუწვდომობა, კომუნიკაცია და სხვა: ეს არის ქისტების პრობლემების მოკლე ჩამონათვალი, რომელიც აფერხებს მათი ინტეგრაციის პროცესს.

საკვლევი თემის აქტუალობა: კვლევა ეხება პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ინტეგრაციის საკითხს ქართულ საზოგადოებაში, მათ პრობლემებსა და გამოწვევებს. შესწავლილია ინტეგრაციის თავისებურებები და ყურადღება გამახვილებულია ისეთ ფაქტორებზე, რომელიც აქტუალობას სძენს აღნიშნულ პროცესს.

ქისტ და ქართველ ახალგაზრდებს შორის გახშირებული კონფლიქტები, ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ქისტურ თემთან, სირიის ომში მონაწილეობის მისაღებად საზღვრის უკანონო კვეთა ქისტი ახალგაზრდების მიერ და სხვა ფაქტორები კიდევ უფრო ამწვავებენ ინტეგრაციის პროცესს.

ნაშრომის ძირითადი მიზანია: გამოვიკვლიოთ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტი მოსახლეობის ინტეგრაციის პრობლემები და გამოწვევები, შევისწავლოთ ინტეგრაციის პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორები და თავისებურებები. განვიხილოთ ასევე ის ქმედებები და რეფორმები, რომელთა ჩატარებაც აუცილებელია ქისტი მოსახლეობის ეთნიკური ინტეგრაციისთვის. ნაშრომში განხილული იქნება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისათვის აუცილებელი საფეხურები, რაც გულიხსმობს სოციალურ ინტეგრაციასა და მიმდინარე პროცესებში მათ აქტიურად ჩართვას.

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის ობიექტს წარმოადგენს პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური ქისტები.

კვლევის საგანია ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი ქართულ საზოგადოებაში.

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევების შედეგების გამოყენებას და ასახვას აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც შეეხება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს ქართულ საზოგადოებაში. საკითხის კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება აგრეთვე რაოდენობრივი მეთოდი, რაც დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძირითად პრობლემას. კვლევის ამგვარი მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია შევისწავლოთ წარმოდგენილი ჯგუფის წევრების პრობლემები და წინააღმდეგობები უფრო ფართო მასშტაბებით და მივიღოთ ერთიანი შედეგები, რაც დაგვეხმარება საერთო ფონის განსაზღვრაში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება, ოფიციალურ ვებგვერდებსა და შესაბამის წყაროებს, ასევე გამოყენებულია სტატიები, რომლებიც

ეხება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებს. აგრეთვე გამოყენებულია გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თავი 1. ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის შესაძლებლობები

1.1. ეთნიკური მრავალფეროვნება, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეთნიკური/ეროვნული უმცირესობების, ტერმინის გასააზრებლად საჭიროა განვმარტოთ მისი მნიშვნელობა, თუ ვინ არიან ქვემოთ მოყვანილი უფლებების წარმომადგენლები. რა კატეგორიის ჯგუფები წარმოადგენენ უმცირესობებს, აღიშნულის განმარტებას არც ერთი სავალდებულო თუ არასავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი არ სრულყოფს. აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს სისტემაში უფრო მიღებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა“, ხოლო ევროპის საბჭოს სისტემაში კი დამკვიდრებულია „ეროვნული უმცირესობა“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს მიღებული უმცირესობათა დეკლარაციის პირველი მუხლის თანახმად, ეროვნულ უმცირესობად მიჩნეულია ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური უმცირესობები, თუმცა არ განუმარტავთ, რას ნიშნავს ტერმინი „უმცირესობა“.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის მიხედვით,[1] რომელშიც საუბარია ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებებზე. მათ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი უფლებები, როგორიცაა: ენა, აღმსარებლობა და კულტურა, არც აქაა განმარტებული, თუ ვინ არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სუბიექტები. ასევე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნიკური უმცირესობების განმარტებას არ გვაძლევს, გაეროს ადამიანთა უფლებათა კომიტეტის ამ მუხლთან დაკავშირებული კომენტარი.[2]

იგივე შეიძლება ითქვას, ერთადერთ სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტზეც, რომელიც მხოლოდ ეროვნული უნცირესობების უფლებებს ეხება, ევროპის საბჭოს კონვენციაზე.[3] ამ დოკუმენტშიც დეფინიციის ნაკლებობაა იმ მიზეზით, რომ ვერ

---

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 , სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი .

[2] გაეროს ფარგლებში მიღებულ კონვენციებში „ethnic minorities“, ხოლო ევროპის საბჭოს კონვენციებში „national minority“

[3] https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history , ევროპის ჩარჩო კონვენცია

შეთანხმდნენ ევროპის საბჭოს სახელმწიფოები და სხვადასხვა განკარგულებებს, სტანდარტებსა და კრიტერიუმებს აწესებდნენ. ეს უთანხმოება კი გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უმცირესობებს წარმოადგენს განსხვავებული ობიექტური და სუბიექტური ნიშან-თვისებებით.[4]

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად სავალდებულო ხასიათის მქონე არც ერთი დოკუმენტი არ განმარტავს ტერმინს „ეთნიკური უმცირესობები", რამდენიმე საყურადღებო ერთმანეთის მსგავს მიდგომას აყალიბებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ეროვნული უმცირესობების განმარტების შესახებ. ვენეციის კომისიის მიერ შეთავაზებულ ერთ-ერთ განმარტებაში, რომელშიც ეროვნული უმცირესობების ტერმინია განმარტებული, მოცემულია შემდეგი სახის განსაზღვრება: როგორც „ადამიანთა ჯგუფი", რომელთა საერთო რაოდენობა იმაზე ნაკლებია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა. ეს „ადამიანთა ჯგუფი" კი განსხვავდება დანარჩენი ქვეყნის მოსახლეობისგან საკუთარი ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური შეხედულებებით, ვიდრე დანარჩენი დომინანტური მოსახლეობა, რომელთაც სურთ დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა.

„ობიექტურ-სუბიექტური ელემენტების კომბინაციას ეფუძნება, ალბათ , ყველაზე უფრო ფართოდ მიღებული განმარტება, რომელიც დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობების დაცვის ქვეკომიტეტის გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ფრანცისკო კაპოტორტიმ წარმოადგინა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 27-ე მუხლის საფუძველზე".[5] საერთაშორისო პაქტში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 27-ე მუხლში განხილულია შემდეგი: „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება, უარი ეთქვათ უფლებაზე, იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა".

---

[4] http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf ფირანიშვილი თ., ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა-2019 წლისგამომცემლობა, თბილისი, 2019

[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 , სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი 27-ე მუხლი.

დღემდე საკმაოდ დიდი დავა არსებობს, ცნებების „ეთნიკური“ და „ეროვნული“ უმცირესობების ირგვლივ. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში უპირატესობა ენიჭება „ეთნიკური“ უმცირესობების კონცეფციას, რადგან „ერი“ მისთვის დიდი სამოქალაქო ერთობაა. ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში და აზიაში „ეთნიკური“ უმცირესობები იგივდება „ეროვნულ“ უმცირესობებთან.

ისტორიულად, ეროვნულ/ეთნიკური უმცირესობების პრობლემა, მე-19 მე-20 საუკუნეების ნაციონალიზმის „დამატებითი პროდუქტია“. საერთაშორისო სამართალი არ განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობის“ კატეგორიას. პირველად, დასავლეთ ევროპაში „ეროვნულმა უმცირესობამ“ თავი იჩინა 1992 წლის დეკემბერში, როცა გენერალური ასამბლეის მიერ მიიღო დეკლარაცია ისეთ პირებზე, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ/ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს.[6] ასევე არის შემთხვევებიც, როცა „ეროვნული უმცირესობა“ ითარგმნება სხვადასხვა მნიშვნელობით სხვადასხვა ენაზე, განსხვავებული კულტურის გამო.

აქედან გამომდინარე, „უმცირესობის“ სამართლებრივი საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველი და საკამათოა, რადგან არ არსებობს მისი კონკრეტული განმარტება. აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს ეძლევა თავისუფლება თვითონ განსაზღვროს „უმცირესობის“, და ასევე „ეთნიკური უმცირესობის“ ფორმა, შინაარსი და საკუთარი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე იმოქმედონ შესაბამისად. მთავარია, ამგვარი ქმედება არ უნდა მოდიოდეს უნივერსალურ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან წინააღმდეგობაში.

ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული სიახლეები ძირითადად შუქდება მხოლოდ მაშინ, როცა საქმე ეხება დანაშაულს, კონფლიქტს, ტერორისტულ მოვლენებს, ან სხვა მნიშვნელოვან საკითხს. მედიის წარმომადგენლები კრიმინალის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხაზს უსვამენ მათ ეთნიკურ და რელიგიურ მიკუთვნებას, რის საჭიროებაც, შესაძლებელია, არც არსებობდეს. დისკრიმინაციული დანაშაულის რისკების ზრდა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მასმედიის მიერ საკმარისი ან არაადეკვატური ინფორმაციის არარსებობის გამო, სხვადახვა რელიგიური თუ

[6] https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Politikis%20metsnierebata,Zviad%20abaSize%20Disertacia.pdf აბაშიძე ზ., ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში, თბ. 2011

ეთნიკური ჯგუფების შესახებ. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მედიის მხრიდან ხდება ეთნიკური უმცირესობების საკითხის მიმართ ეგზოტიზაცია, განსაკუთრებით სექსუალურ და რელიგიურ უმცირესობათა საკითხების გაშუქებისას, ხოლო ეთნიკური უმცირესობების ან რასობრივი ნიშნის თემების გაშუქება შედარებით მსუბუქად ვლინდება მედიაში და დაკავშირებულია დანაშაულთან, ნეგატიურ ამბავთან. უმცირესობათა საკითხებს ზოგჯერ პოლიტიკურ პარტიებს მიაწერენ, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური მანიპულაციისთვის ან ნეგატიური განწყობის დასამკვიდრებლად და გასავრცელებლად საზოგადოებაში უმცირესობებისადმი. მედიის წარმომადგენლები ხშირად ისეთ რესპოდენტებთან იღებენ ინტერვიუს, რომლებიც გამოირჩევიან ეთნიკური უმცირესობებისადმი მკვეთრად გამოხატული სიძულვილით.[7]

ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედია, რომელიც ხელს უწყობს მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას, წარმოადგენს ხალხსა და ხელისუფლებას/ადგილობრივ თვითმმართველობასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის საყრდენ ძალას. საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობებისთვის მედიაზე წვდომის უფლება, საიდან იღებენ ისინი სხვადასხვა სახის ინფორმაციას და რამდენად ენდობიან არსებული მედია საშუალებებიდან მიღებულ ინფორმაციას, ან რამდენად უწყობენ მედია საშუალებები პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას ეთნიკური უმცირესობებისთვის. კვლევებმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების მხრიდან მასმედიის მიმართ მაღალი ნდობა არ არის. მათი 28.3% ენდობა მასმედიას ნაწილობრივ ან სრულად.

საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რა სიხშირით იღებენ ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპოდენტი 49.7% ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას, 17.1% -კვირაში რამდენჯერმე, ხოლო17.8% საერთოდ არ იღებს /ან არ ეცნობა პოლიტიკურ სიახლეებს. ეთნიკურ ჭრილში, თითქმის ყოველდღიურად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ოსი რესპოდენტების 83.9%, ქისტების 80.5%, ურბანული მცირე ეთნოსების წარმომადგენლების 51%, სომხების 21.4% და აზერბაიჯანელების 13.7%. რესპოდენტენთა ასაკის ჭრილში აღსანიშნავია, რომ იმ

[7]http://tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf, სართანია ქ., სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის განწყობა, კვლევა, თბ., 2017.

რესპოდენტთა წილი, ვინც საერთოდ არ იღებს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, ყველაზე მცირეა 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში (9%), მაშინ, როცა მაგალითად, ამგვარ სიახლეებს არ ეცნობა 25-34 წლის რესპოდენტთა 21%.

მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ჩარჩო კონვენციაში გამოხატვის თავისუფლების კონტექსტშია განხილული. იქიდან გამომდინარე, რომ მედიას თავისუფლების გამოხატვის რეალიზაციაში დიდი როლი უკავია და მეორე მხრივ, კი თვითონ მედიაა ამ უფლებით მოსარგებლე სუბიექტი. ეთნიკური უმცირესობებისთვის მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლება ცალკე მნიშვნელობის მატარებელი გახდა გამოხატვის თავისუფლების დაცვის კონტექსტში. ევროპის ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ეთნიკური უმცირესობებისთვის გამოხატვის თავისუფლებას, რაც გულისხმობს თავის ენაზე აზრის გამოხატვის, ინფორმაციის მიღებასა და გაცემის უფლებას, სახელმწიფო ორგანოების ჩარევისა და რაიმე დაბრკოლებების გარეშე.[8]

განვიხილოთ ევროპის ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლი, რომელშიც ნათლად ჩანს ეთნიკური უმცირესობების უფლებები: 1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, აღიარონ, რომ ყოველი იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას, გააჩნდეს მოსაზრებები, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და, საზღვრების მიუხედავად, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის ხელმისაწვდომობის მხრივ. 2. 1-ლი პუნქტი არ ზღუდავს მხარეებს დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კანონწარმოების ლიცენზირება. 3. მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მედიის შექმნასა და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, ისინი

[8] http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf, თ. ფირანიშვილი, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა-2019 წლისგამომცემლობა, თბ., 2019.

მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშულებების შექმნისა და გამოყენების უფლება. 4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და ნება დართონ კულტურულ პლურალიზმს.[9]

ასევე უნდა აღვნიშნოთ, ფოკუსირებული ჯგუფების მიერ ჩატარებული კვლევები მედიის შესახებ. ჯგუფებში შერჩეული იყო თემის სპეციპიკიდან გამომდინარე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. რესპოდენტები შემდეგნაირად შეირჩა: ახალციხეში - ეთნიკურად სომეხი რესპონდენტები; მარნეულში - ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები; თბილისში - 1 ეთნიკურად რუსი, 1 ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 2 ეთნიკურად სომეხი, 1 ეთნიკურად უკრაინელი, 2 ეთნიკურად ოსი და 1 ეთნიურად ებრაელი. 1 ეთნიკურად იეზიდი რესპონდენტი. კვლევის შედეგები კი შემდეგნაირად გამოიკვეთა: ადგილობრივი მედიის შესახებ გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათგან მიღებული ინფორმაცია არის ძალიან მწირი და ამის გამო ურჩევნიათ სხვა ტელეარხებს მიმართონ, ამიტომ საუბარი ძირითადად ნაციონალურ მედიაზე მიმდინარეობდა. რესპოდენტების აზრით, ნაციონალური მედია ეთნიკური უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას შეძლებისდაგვარად კორექტულია.

თბილისში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ მედია ხშირად გადასცემს დაუზუსტებელ ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობების შესახებ დაკავშირებულ თემებს. რესპოდენტები შეეცადნენ მედიის მიერ ასეთი ფაქტების გახსენებას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ასეთი შემთხვევის გახსენება და მიაწერეს ეს პრობლემა წარსულს.

რესპოდენტების თქმით, მედიის მიმართ, ძირითადად, შუქდება აფხაზებზე და ოსებზე ინფორმაცია. რესპოდენტები კი ამ ფაქტს თვითონვე გასასამრთლებელ სარჩულს ურთავენ, რათა კონფლიქტურ ზონებზე მეტად უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება.

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0 , ევროპის ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, სტრასბურგი, 1.02.1995.

ამის შესახებ კი ოსი რესპოდენტების მიერ გამოთქმული იყო პრეტენზია, მათზე იმოქმედა პოლიტიკურმა ცხოვრებამ და მედიის მიერ ოსებზე მხოლოდ უარყოფითად საუბარმა. ამით კი იმის თქმა შეგვიძლია, რომ პოლიტიკის შედეგი მედიაზეც აისახება. რესპოდენტი მედიის მოვალეობად თვლის მსგავს პრობლემებზე ზრუნვას. რესპოდენტის აზრით, მედია უნდა იყოს მაკავშირებელი ხიდი სხვა ეთნიკურ უმცირესობებსა და საზოგადოებას შორის, რათა შექმნას დადებითი შთაბეჭდილებები და არა თვითონ დაძაბოს ურთიერთობა, არასამართლიანი და უსამართლო სტატიებით.

მედიის დამოკიდებულება კორექტულია აფხაზების მიმართაც, რესპოდენტების აზრით, მედია მეგობრულად არ წარმოაჩენს აფხაზებს, მაგრამ არც მტრულადაა განწყობილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მედია ყველაზე კორექტულია აფხაზების მიმართ.

რესპოდენტებმა ჩამოაყალიბეს მედიისთვის ზოგადი რჩევები და სურვილები, რომლებიც ასე გამოიყურება: მედია არ უნდა თამაშობდეს „წამქეზებლის როლს“, პირიქით, მედიას შეუძლია დაძაბული სიუჟეტი ისე წარმოაჩინოს, რომ ტაქტიანად შეარჩიოს მასალის მიწოდების ფორმა. ასევე მათი სურვილია, მედიამ გაამახვილოს ყურადღება ეთნიკური უმცირესობების ყოფა-ცხოვრებაზე, მათ ადათ-წესებსა და არა კონფლიქტებზე. მედიამ ნებისმიერი საკითხი უნდა გააშუქოს სიღრმისეულად და ყურადღებით, რათა თავიდან იყოს აცილებული გაუგებრობა და სიუჟეტი იყოს უფრო სრულფასოვანი და გასაგები .[10]

რაც შეეხება წყაროებს, თუ საიდან იღებენ რესპოდენტები ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ყველაზე პოპულარულია სატელევიზიო არხები (83%), ქართული ინტერნეტ გვერდები (23,5%), რუსული მედია საშუალებები (23,3%), სომხური მედიასაშუალებები (10,0%) და არაფორმალური წყაროები (12%). რაც შეეხება რადიო და საგაზეთო ინფორმირებას, მათი პოპულარობა ეთნიკურ უმცირესობებში დაბალია.

გარდა ამისა, რესპოდენტებმა შეაფასეს სამი მედია საშუალების მიმართ ნდობა, თუ რომლით სარგებლობდნენ ისინი ინფორმაციის მისაღებად: სატელევიზიო არხები -

[10]http://www.mdfgeorgia.ge/uploads/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf, BCG research-ის მიერ მომზადებული კვლევა „ეთნიკურ უმცირესობებთან თემების ასახვა მედიაში“, 2010.

3,15 ქულა 5 ქულიანი სკალიდან, ქართული ინტერნეტ გვერდების საშუალო ქულა 3.67, ხოლო რუსული მედია საშუალებების საშუალო ქულა კი 3,3 ქულაა.[11]

ქართული კანონმდებლობის, მათ შორის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციასა და მისი სამოქმედო გეგმის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ეთნიკურ უმცირესობებს ინფორმაცია მიაწოდოს მათ მშობლიურ ენაზე. 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობებისთვის გამოიყო 15 წუთი, რომლითაც ისინი ეთნიკურ უმცირესობებს მიაწვდიან მშობლიურ ენაზე ახალ ამბებს. აღნიშნული ფაქტი სახალხო დამცველის ანგარიშებში დადებითად შეფასდა, მაგრამ აქაც იჩინა თავი პრობლემამ. ეთნიკური უმცირესობების მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს ციფრულ მაუწყებლობას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ინფორმაციას გადასცემს რადიო მაუწყებლობითაც, მაგრამ დილის 5 საათიდან 6 საათის ფარგლებში, უფრო მეტიც, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი ამ რადიოს დაფარვის ზონის გარეთაა.

საქართველოში გამოიცემა ოცამდე აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი და ჟურნალი, მაგრამ მათი რესურსები და ტირაჟიც შეზღუდულია და ამიტომ ვერ ხერხდება მოსახლეობის უახლესი ინფორმაციით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათი უმრავლესობა ფინანსდება აზერბაიჯანისა და თურქეთის მიერ. [12]

სოციალური მედიის გამოჩენასთან ერთად ჟურნალისტები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. facebook -ის, twitter - ის da yutube -ის მოხმარება 2000 წლიდან თანდათან პოპულარული გახდა, ერთი მხრივ, ჟურნალისტებისთვის ხელისშემწყობია, მეორე მხრივ, კი ეხმარება რადიკალიზებურ ჯგუფებს სხვადასხვა ასპექტში. იმისთვის, რომ რეპორტიორებმა სოციალური მედია გამოიყენონ ეფექტიანად თავიანთ საქმიანობაში და ხელი არ შეუწყონ რადიკალიზებურ ჯგუფებს, უნდა ჩატარდეს დაკვირვება იმის შესახებ თუ როგორ იყენებენ ეს ჯგუფები სოციალურ მედიას.

როგორც ტერორიზმთან, ისე რადიკალიზაციის მქონე ჯგუფებმა სოციალურ მედიას შესაძლოა მიმართონ:

---

[11] https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

[12] https://openscience.ge/bitstream/1/1125/1/Ma-Thesis-Abashidze%20%20politmec.pdf, აბაშიძე გ., „უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში“, თბ., 2017.

- თვითორგანიზებისა და ახალი წევრების გადაბირებისთვის;
- საკუთარი საქმიანობისა და შიშის ელემენტის, რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისთვის;
- საკუთრი იმიჯის შესახებ სასურველი ნარატივის შესაქმნელად, არსებობის ნორმალიზაციისთვის;
- ონლაინ იერიშის მისატანად, მედია ორგანიზაციების ვებსაიტებსა და სოციალური მედიის ანგარიშებზე ;
- მათთან ოპოზიციაში მდგომ ჯგუფებზე იერიშის მისატანად ;
- ინფორმაციის მოსაგროვებლად და ა.შ.

ამ ინფორმაციის გათვალისწინებით კი მედია საშუალებებს მართებთ დიდი ყურადღება, რათა არ გახდნენ მსგავსი ჯგუფების პლატფორმა, მანიპულაციის მსხვერპლი და მათი პროპაგანდის გამავრცელებლები. მედიას კი ამისთვის დასჭირდება მობილიზება, მაგალითად, საკუთარ ონლაინ ანგარიშებზე ასეთი ჯგუფების აქტიური მონიტორინგისა და აღკვეთისთვის. ჩვენს რეალობაში არაერთხელ ყოფილა, რომ ასეთი ჯგუფები facebook -ის საშუალებებით ცდილობენ საკუთარი ნარატივის შექმნას და ცდილობენ მომხმარებლების შეხედულებებებზე ზეგავლენის მოხდენას მედია საშუალების სოციალური მედიის ანგარიშზე აქტიურობით. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მედია საშუალებების პირდაპირი ჩართვისას მათი კომენტარების ზოლში აქტიურობა facebook-ის საშუალებით.

ძალადობრივ ექსტრემიზთან დაკავშირებით, ჯგუფების მიერ სოციალური ქსელების პრაქტიკიდან და მედიის გამოწვევებიდან გამომდინარე, ჟურნალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ რამდენიმე საკითხს :

- მედია საშუალებები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ძალადობრივ ექსტრემში ჩართული ჯგუფები შეეცდებიან ონლაინ არხების გამოყენებას, რათა შექმნან საკუთარი ნარატივი მედიაში;
- ასეთმა ჯგუფებმა შესაძლოა იერიში მიიტანონ მედიის სოციალურ ანგარიშებზე, ამისთვის კი მედიას შემუშავებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტრატეგია;

- ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ სოციალური მედიით დეზინფორმაციის გავრცელების სიმარტივე, ამიტომ ინფორმაციის გადამოწმება უფრო აქტუალური უნდა იყოს;
- მედიამ ხელი უნდა შეუშალოს ძალადობრივ ჯგუფებს, რომ არ გამოიყენონ მათი პლატფორმები, მათ შორის კომენტარების ველი საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად;
- ისევე როგორც ტელეეთერში, ასევე facebook live-ის, youtube lives-tream-ის ან მსგავსი პლატფორმების გამოყენებისას, მედია ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ იქცეს სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების ტრიბუნად;

გამჭვირვალობას განსაკუთრებული მინიშვნელობა აქვს, როცა საუბარია ჟურნალისტიკასა და სოციალურ მედიაზე. სოციალური მედია შეიძლება იყოს ღირებული და მნიშვნელოვანი წყარო, მაგრამ მისი გადამოწმება და კონტექსტში ჩასმა ყოველთვის უნდა მოხდეს .[13]

და ბოლოს, აღვნიშნოთ რომ მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის არაა ისეთივე ხელმისაწვდომი, როგორც სახელმწიფოში მცხოვრები უმრავლესობისთვის და ეს კიდევ ერთი შემაფერხებელი და ხელისშემშლელი პრობლემაა ინტეგრაციის პროცესში.

1.2 განათლების უფლება ეთნიკურ უმცირესობებში

განათლების უფლება, არ მიეკუთვნება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, მაგრამ ამჟამად უნდა განვიხილოთ ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში. განათლების უფლება განსაკუთრებით აუცილებელია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რადგან განათლების მიღება ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობებს სხვადასხვა მნიშვშვნელოვანი ინსტრუმენტების შენარჩუნებაში, როგორიცაა ეროვნული ღირებულებები, ცოდნა და სხვა. განათლების უფლების მნიშვნელობა ეთნიკური უმცირესობებისთვის განსაკუთრებულობას იძენს იმით, რომ

[13] http://gcsd.org.ge/storage/files/doc/damkhmare-sakhelmdzgvanelo-mediistvis-01.pdf?fbclid=IwAR1VG9CcbqZKVKNO6xyaA23nF2sw89vFA5Nvp0FfhO8NGwALGN1F34mHaas, ლ.ქავთარაძე, სახელმძღვანელო მედიისთვის, ძალადობრივ ექსტრიმიზთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, თბ., 2019.

განათლება არის ეროვნული ღირებულებების, ცოდნისა და მიდგომის მთვარი მექანიზმი.

განათლების უფლება რეგულირდება სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმით, ამის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების შესახებ არ არსებობს არც ერთი უშუალო ან პირდაპირი ჩანაწერი, გარდა ევროპის ჩარჩო კონვენციისა. ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლებაზე მხოლოდ ევროპის საბჭოს კონვენციაშია საუბარი. ეთნიკურ უმცირესობებზე ვრცელდება ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც გულისხმობენ, რომ განათლება ყველასთვისაა ხელმისაწვდომი განურჩევლად სხვადასხვა დისკრიმინაციული ნიშნებისა. ევროპის ჩარჩო კონვენციაში განათლების უფლების შესახებ მუხლები შემდეგნაირადაა დაყოფილი და უკავია 12, 13, 14 მუხლები.[14] ამ მუხლების გათვალისწინებით, კი მიღებული უნდა იყოს ისეთი გადაწყვეტილებები, განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში, როგორითაც ეროვნული უმცირესობები გაიღრმავებენ ცოდნას სხვადასხვა კუთხით, მაგალითად, როგორიცაა: კულტურა, რელიგია, ენა და სხვა. ასევე ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება, განათლება მიიღონ მათი უმცირესობის ენაზე.

„განათლება“ მოიცავს, არა მხოლოდ სავალდებულო განათლებას, არამედ წინასასკოლო, უმაღლეს, პროფესიულ განათლებას, მოზარდებისა და აგრეთვე პროფესიული განათლების მსურველთათვის. ევროპის ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის, მე-3 ქვეთავის საფუძველზე სახელმწიფოს აქვს პირველადი ვალდებულება იმისა, რომ უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობებისთვის უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლება.[15]

სხვადასხვა პრობლემის პარალელურად მწვავე საკითხს წარმოადგენს ხარისხიანი განათლების შეთავაზება ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც დაკავშირებულია პოლიტიკური მონაწილეობის ეფექტურობასთან. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქართული ენის გავრცელება უმცირესობებს შორის

[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0. ევროპის ჩარჩო კონვენცია „ეთნიკური უმცირესობების დაცვის შესახებ“.

[15] http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf, თ. ფირანიშვილი, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა-2019 წლის გამომცემლობა, თბ., 2019.

ისე, რომ შენარჩუნებული იყოს ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური თავისებურებები. აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის წარმმართველი და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადად განათლების და მეცნიერების სამინისტროა.

ეთნიკური უმცირესობებისათვის განათლების საკითხების პრიორიტეტიზაცია სამინისტრომ ჯერ კიდევ 2004 წლიდან მოახდინა, როდესაც დაიწყო კონცეპტუალური და პროგრამული მიდგომები ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. თუმცა აღნიშნული პოლიტიკის მთავარი ხარვეზი მისი არამდგრადობა და არასტაბილურობა იყო, რომელიც, გამოიხატებოდა მიდგომებისა და მეთოდების ხშირ ცვლასა და არათანმიმდევრულობაში. განათლების სამინისტროს მიერ გამოიკვეთა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების აქტივობა, რომელიც 2015 წლიდან ხორციელდება.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა, ეროვნული უმცირესობების განათლების შესახებ, თანხვედრაში მოდის ისეთ კონცეფციასთან, რომელიც მხარდამჭერია ეთნიკური უმცირესობის მიმართ განათლების მიღების აუცილებლობასთან. ამ პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო აგრძელებს არაქართულენოვანი სექტორების ფუნქციონირებას.

2018 წლის მონაცემებით საქართველოში 271 არაქართულენოვანი და შერეული სექტორის მქონე საჯარო სკოლა იყო. რომელთაგან 115 წარმოადგენდა სომხურენოვან სკოლას, 82 აზერბაიჯანულენოვანს, ხოლო 10 რუსულენოვანს. არაქართულენოვანი სექტორიდან კი 20 არის ქართულ-რუსული, 29 ქართულ-აზერბაიჯანული, 8 ქართულ-სომხური.[16]

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით: „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული სახელმწიფო ენა არაა, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

[16]https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

სავალდებულოა სახელმწიფო ენის შესწავლა".[17] საქართველოში არსებობს რამდენიმე სექტორიანი სკოლა, რომელთა აღქმა ერთ განათლების სექტორში ვერ ხერხდება, ამიტომ იქმნება პრობლემა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს განათლების ერთიანი სექტორი. რეფორმების გატარების დროს ეს პრობლემა ყოველთვის თავს იჩენს და ამიტომ მწირე რესურსების გამოყენების საშუალებებსაც აფერხებს. ეს პრობლემა ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების მისაღებად ხელის შემლელი ფაქტორია. ყოველი ახალი მინისტრის დანიშვნისას, თითოული აქტიურად საუბრობს ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას თავს არიდებს. ამის გარდა, მკვლევრები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს მიერ უნდა ჩატარდეს კვლევები განათლების სფეროში და აისახოს შედეგები საჭიროებისამებრ. არაქართულენოვან სკოლებში მომუშავე მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეების განათლების მიღებაში.

ბილინგვური მოდელი ახალი მოდელია, რომელიც გულისხმობს ორენოვან განათლებას. ეს მოდელი შემოიფარგლება ორენოვანი წიგნებით, ამ წიგნებს კი აქვთ ხარვეზები. სომხურ და ზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნ წიგნებში ისეთი შეცდომებია, რომ ჭირს აზრის გამოტანა მოსწავლეებისთვის და ხანდახან მასწავლებლებისთვისაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ უმრავლესობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ განათლების მისაღებად. ადრეული ასაკისა და სკოლამდელი განათლების სისტემაში უკვე წარმოიშვა უთნხმოება, ეს უთანხმოება კი განპირობებულია იმით, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ სარგებლობენ სკოლამდელი განათლებით, ამიტომ მათ არ აქვთ მზაობა სკოლისათვის. ეს პრობლემა, ერთი მხრივ, გამოწვეულია ბაღების სიმცირით, მეორე მხრივ, კი ნაკლები რესურსებით და ასევე ვერ პასუხობენ ბაღები სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტრატეგიულ მიზნებს, რაც გულისხმობს ეროვნულ ინტეგრაციაში არსებითი ნაბიჯის გადადგმას.[18]

პანკისში განათლების პრობლემა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული რეფლექსებით ხასიათდება. ახალგაზრდები საუბრობენ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე,

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=85, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ".

[18] https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Safety_GEO_WEB_1542962874.pdf, მ.ბარქაია, ბ.ჯანელიძე, კვლევა „უსართხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში", 2018.

რომელიც პანკისის ხეობაში ზღუდავს განათლების უფლების ხელმისაწვდომობას. ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ რამდენიმე სოფელი ერთი სკოლით სარგებლობს და ამიტომ მათ უხდებათ ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა. არ არის ტრანსპორტი, რომლითაც ისინი სარგებლობას შეძლებენ. ხეობაში არ არის ასევე ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები შეძლებენ სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის მიღებას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიერ უმოქმედობა მოსწავლეებს უკარგავს მოტივაციას, რის შემდეგაც ისინი იძულებულები ხდებიან სხვა ტიპის სკოლებში გააგრძელონ სწავლა. ფოკუს-ჯგუფის კვლევებმა აჩვენეს, რომ სკოლაში ძირითადად ის პანკისელი ახალგაზრდები სწავლობენ, რომელთაც სწავლის გაგრძელება შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში სურთ. ქართულენოვანი საზოგადოებისგან განსხვავებით ატესტატი მათთვის არ წარმოადგენს სავალდებულო ნაწილს. უფროსებიც საუბრობენ განათლების პრობლემაზე, მაგრამ მათი ხედვა ახალგაზრდებისგან განსხვავებულია. ისინი გამოყოფენ შემდეგი სახის პრობლემებს: ახალგაზრდები უფრო დაინტერესებულნი არიან სასულიერო სკოლებში სწავლით, ვიდრე ქართულ სკოლებში. ეს ფაქტი კი იმით აიხსნება, რომ მათ უფრო მეტი წამახალისებელი და მატერიალური საჩუქარი აქვთ სასულიერო სკოლების მხრიდან, ვიდრე ქართული საჯარო სკოლების მხრიდან. მეორე პრობლემა კი საჯარო სკოლებში არსებული დისციპლინაა.

პანკისის ხეობაში ფოკუს-ჯგუფების მიერ ჩატარებული კვლევების შესაბამისად, გამოკითხულთა შორის ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელიც პროფესიით მასწავლებელია, აღნიშნავს: ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ მოსწავლეები სკოლებს ისე ამთავრებენ და იღებენ ატესტატებს, რომ ისინი სულ რამდენჯერმე არიან გაკვეთილზე დასწრებული. ამის შესაბამისად კი, მათ აქვთ დიდი დრო, იარონ სასულიერო დაწესებულებებში, სადაც ხდება ვაჰაბიტური სწავლების თავსმოხვევა ახალგაზრდებისთვის, შედეგად კი ეს განაპირობებს ახალგაზრდების გადინებას პანკისის ხეობიდან და მათ მონაწილეობას სირიის ომში.[19]

[19] https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf, დავითაშვილი ს., „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“.

სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს შემუშავებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საზოგადოების მრავალფეროვნება, რომლის მეშვეობითაც ყველა შეძლებს მიიღოს სრულყოფილი განათლება.

განათლების სამინისტრო აქტიურად მიმართავს საშეღავათო და ე.წ პოზიტიურ დისკრიმინაციას. აბიტურიენტებს მშობლიურ ენაზე მხოლოდ უნარ-ჩვევების ჩაბარება შეუძლიათ, რომლის შედეგადაც ისინი ჩაირიცხებიან ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგაც მათ უფლება აქვთ მიიღონ სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. „1+4“ განათლების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფომ შეიმუშავა 2010 წლიდან. თუ გადავავლებთ თვალს დინამიკას, უმცირესობების მკვეთრი მატება აღინიშნება ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე აღნიშნულია შემდეგი სახის პრობლემაც, პედაგოგების მიერ ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე, პედაგოგების დიდი ნაწილი ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, ამიტომ სახელმძღვანელოს 30% შინაარსი მათთვის გაუგებარია. ამ მხრივ კი საჭიროა ახალი მიდგომის დანერგვა და მათი მუდმივი მონიტორინგი პრაქტიკაში მუშაობისას.[20]

განათლებისა და ენის მიმართულებით სახელმწიფოსთვის ურთულეს გამოწვევად რჩევა ისეთი დაბალანსებული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის სწავლებას ყველა მოქალაქისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს უმცირესობათა ენების სწავლებას, რათა ქვეყნის ლინგვისტური მრავალფეროვნება იქნეს დაცული და მხარდაჭერილი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2016 წელს, როდესაც განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლების საჯარო სკოლებში დანერგვის შესახებ. ამ ეტაპისათვის ეს გადაწყვეტილება ეხება შემდეგ ენებს: ასურული, ავარული, ქისტური (ჩეჩნური), უდიური, კურმანჯი (ქურთული) და ოსური.

მნიშვნელოვანია 2015 წელს მიღბული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს, მისი გამოყენებისა და დაცვის საშუალებებს. კანონი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ის შეიცავს მთელ რიგ დებულებებს

[20] https://openscience.ge/bitstream/1/1125/1/Ma-Thesis-Abashidze%20%20politmec.pdf, აბაშიძე გ., უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში, თბ., 2017.

ეროვნულ უმცირესობათა ენის გამოყენების შესახებ. კანონი განსაზღვრავს ეროვნულ უმცირესობის ენას, როგორც არასახელმწიფო ენას, რომელსაც ტრადიციულად იყენებენ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები.[21]

უნდა აღინიშნოს, რომ განათლება ეს არის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლი და აუცილებლად საჭიროა, ყველა ადამიანი იღებდეს განათლებას თანაბარუფლებიანად განურჩევლად სქესის, რასისა და სხვა ეთნიკური წარმომავლობის.

1.3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

სამოქალაქო მონაწილეობის თვალსაზრისით უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის ადეკვატური შესაძლებლობები, სახელმწიფოს მხრიდან ასევე ხელშეწყობილია კომუნიკაციის, კონსულტირების და ადვოკატირების ინსტიტუციური მექანიზმები, ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის ოფისთან დანერგილი საკონსულტაციო სტრუქტურის არსებობა, სახელწოდებით ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის საკომუნიკაციო და საკონსულტაციო არხი. საბჭო აერთიანებს ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, განურჩევლად მათი წევრების რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. საბჭო ასევე უფლებამოსილია გააჟღეროს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა და შეიმუშაოს პოლიტიკური რეკომენდაციები. უკანასკნელ წლებში საბჭოს დანიშნულება და მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა და ის აღიჭურვა მონიტორინგის და შეფასების ფუნქციებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს ყოველწლიური ჩართულობა ტოლერანტობისა

[21] https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის განხორციელებისათვის.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი მექანიზმი არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, კერძოდ 2016 წელს დამტკიცებული სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წელს ამოქმედდა საკონსულტაციო მექანიზმი სამხარეო ადმინისტრაციების ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე შესაბამის სამხარეო ადმინისტრაციის ფარგლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი მექანიზმია ასევე აჭარაში მდებარე „მეგობრობის სახლი“, რომელიც ორიენტირებულია ეთნიკური უმცირესობების მიერ სამოქალაქო ჩართულობაზე. ასევე არის ადგილმდებარეობის მიხედვით დაარსებული ოფისები რეგიონებსა და დედაქალაქში, რომლებიც სახალხო დამცველის მიერ ფინანსდება. მზადდება ალტერნატიული მოხსენებები ეთნიკური უმცირესოებების ჩართულობის შესახებ. ასეთი მოხსენებები უკვე მომზადდა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვის და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის (CERD), ანალოგიური მოხსენება ასევე მზადდება საქართველოს მიერ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ. როგორც ვხედავთ, ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ საშუალება გააჟღრონ საკუთარი პრობობლემები როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებშიც. სახელმწიფოს მხრიდან კი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობით არიან უზრუნველყოფილები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთავარ გამოწვევად რჩება ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციების და სათემო გაერთიანებების არამდგრადობა და არასაკმარისი მომზადება დამოუკიდებლად აწარმოონ სამოქალაქო აქტივიზმი, კერძოდ ადვოკატირება, მონიტორინგი თუ ლობირება. ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა მეტწილად დამოკიდებულია ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რასაც ორგანიზაციები ვერ ახერხებენ. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობაში ჩართულობის ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია არამდგრადობა და მუდმივ დაფინანსებაზე ყოფნა. ასეთი არამდგარადობა ახასიათებს ზემოთ აღნიშნულ სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, რომელიც დონორი ორგანიზაციების მიერ ფინანსდება და ამ

დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში კი მისი ეფექტურობა და გავლენაც მნიშვნელოვნად შემცირდება.[22]

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ერთ-ერთი მთვარი უფლებაა, რათა ჩამოყალიბდეს ინკლუზიური საზოგადოება. ეს უფლება გარანტირებულია ევროპის ჩარჩო კონვენციითა და სხვა საერთაშორისო მექანიზმებით. ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი პირობები, რომ მათ მიიღონ ეფექტიანი მონაწილეობა კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით კი ისეთ საქმეებში, რომლებიც მათ ეხებათ.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთშორისო პაქტის 25-ე მუხლი ზოგადად განმარტავს ყველა ადამიანის უფლებას, მონაწილეობას საჯარო საქმეებში, პირდაპირ ან წარმომადგენლის საშუალებით. თითოეულ მოქალაქეს დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე აქვს უფლება და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ასევე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით. უფლება აქვს მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო არჩევნებში და ასევე თანასწორ პირობებში შეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.[23]

ამ უფლების ქვეშ ძირითადად ყურადღება გამახვილებულია არჩევნების მონაწილეობის უფლებაზე, თანასწორობის ზოგადი პრინციპის დაცვით საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლებაზე. ყველა საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდობა უნდა ჰქონდეთ ყოველგვარი დისკრიმიინაციის განხორციელების გარეშე. იკრძალება დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქმიანობის დროს. ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი კი ეთნიკური უმცირესობების შესახებ უშუალოდ განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას. ამ მუხლის შესაბამისად, კი მხარეები ვალდებულნი არიან შექმნან აუცილებელი პირობები ეროვნული უმცირესობებისთვის, რათა მათ შეძლონ ეფექტური

[22]https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

[23]https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0 , საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.[24]

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანი მონაწილეობის უფლების არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა პრობლემის წინაშე დააყენოს ეთნიკური უმცირესობები, მათთვის ისეთივე მნიშვნელოვანია ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. მე-15 მუხლის ზოგადი ჩანაწერი საშუალებას იძლევა მის ფართოდ გამოყენებას.

ზოგადად, პოლიტიკური მონაწილეობა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ცენტრალური ნაწილია, რათა ამ უფლებით განისაზღვრება სხვა უფლებებში მონაწილეობის მიღება ეთნიკური უმცირესობებისთვის. პოლიტიკურსა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს ობიექტური, გონივრული, არადისკრიმინაციული და კანონით გათვალისწინებული.[25]

„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობა ქვეყნისა და საზოგადოებივ ცხოვრებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა," - ამის შესახებ განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა ღონისძიებაზე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის შესახებ გაიმართა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას დისკუსია შემდეგ თემებზე წარიმართა: ეთნიკური უმცირესობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში – საკითხის აქტუალობა, არსებული გამოწვევები და გადაწყვეტის გზები, სახელმწიფოს ხედვა და პოლიტიკა, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს რეკომენდაციები.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ არსებობს უწყებათაშორისი კომისია სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე და მას ამ მიმართულებით საინტერესო შედეგები აქვს.

---

[24]https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0, ევროპის ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის სესახებ"

[25]http://ewmi-prolog.org/images/files/6310GEO_WEB_1552474567.pdf, ფირანიშვილი თ., „ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა", თბ., 2019 .

დღეს ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებაზე ვსაუბრობთ – როგორ გავაძლიეროთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობა ქვეყნის ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს, პირველ რიგში, თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, მათი უნარების გაძლიერებას, მათ შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას გულისხმობს.

რა თქმა უნდა, ისაუბრეს ჯერ კიდევ არსებულ გამოწვევებზე, მაგრამ ამავდროულად იმ ნაბიჯებზეც, რომლებიც სახელმწიფომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გადადგა. მაგალითად ის, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სპეციალური საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები ამოქმედდა, სადაც მოსახლეობას საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის დაგეგმვაში, დასვას კითხვები და გამოხატოს მოსაზრებები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“.[26]

ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხი უკვე რამდენიმე წელია სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ამ მიმართულებით გადამწყვეტ როლს თამაშობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარე დაახლოების პროცესი და ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო დონორების განახლებული ინტერესი.

დღეს, როდესაც საქართველომ მტკიცედ გადაწყვიტა, შეუერთდეს ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეს, როგორც ამ ოჯახის კულტურული ნაწილი, მისი უპირველესი ამოცანაა უმცირესობების, მათ შორის, ეთნორელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებების განუხრელი დაცვა და მათი კულტურული თვითმყოფადობის უპირობო მხარდაჭერა. 2005 წელს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ევროპულ ჩარჩო-კონვენციასთან საქართველოს მიერთება კონკრეტულ ვალდებულებებს მოიცავს. ამ მიმართებით, დემოკრატიისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვა ერთადერთი გზაა ხელშესახები შედეგების მისაღწევად. ეს ამოცანა კი განსაკუთრებით რთული შესასრულებელია ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით. ხშირად ამ ჯგუფების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში

[26] https://1tv.ge/news/qetevan-cikhelashvili-etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-chartuloba-qveynis-da-sazogadoebriv-ckhovrebashi-ert-ert-yvelaze-prioritetuli-mimartulebaa/, 07.06.2019.

გართულებულია სახელმწიფო ენის არცოდნის, დემოკრატიული ტრადიციის არარსებობისა და წარსული გამოცდილების გამო. ამ თვალსაზრისით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები საინტერესო მაგალითს წარმოადგენენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ენას სრულად ფლობს და ისტორიულად მათი იდენტიფიკაცია საქართველოსთან გაცილებით მაღალია, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული ნებისმიერი სხვა ეთნიკური უმცირესობისა. ამის მიუხედავად, მათი ჩართულობისა და ადგილზე არსებული პრობლემატიკის შესწავლა ცხადად აჩვენებს, რომ მხოლოდ სახელმწიფო ენის სრულყოფილად ფლობა არ არის გარანტია იმისა, რომ ეროვნული უმცირესობა სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ოთხი კომპონენტით ხასიათდება. ესენია პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა, თანასწორი სოციოეკონომიკური განვითარება, განათლების თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითრება. ამ ოთხი კომპონენტიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჩართულობა, სწორედ ამის მეშვეობით შეიძლება პროცესები გახდეს შეუქცევადი.[27]

ამგვარად, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გავლენაზე. სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის კი აუცილებელია სხვა პრობლემების მოგვარებაც. შეუძლებელია განათლების დაბალი დონით და არაინფორმირებულობით ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. ამ პრობლემის გადაჭრა კი სახელწიფოს მხრიდან ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

საზოგადოებრივი ჩართულობისგან განსხვავებით პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კიდევ სხვა ფენომენია და განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით. ეთნიკურ უმცირესობებს თუ გააჩნიათ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის

[27] http://eecmd.org/wpcontent/uploads/2018/10/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_EECMD_HCNM_2018.pdf?fbclid=IwAR2gjJBDo9P3ZqUA7yj0FIlr9nX-8AWk7qFo5rlFUHFFJjwbpF-aKtpVqgg, პუბლიკაცია კვაშილავა ბ., ავტორობით „ეროვნული უმცირესობების ჩართულობა საქართველოს პოლოიტიკურ ცხოვრებაში“, 2018.

მექანიზმები, პოლიტიკური ჩართულობისას მათი აქტიურობა ლიმიტირებულია. მართალია, აღნიშნული საკითხი ტოლერანტობასა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციაზე ყველაზე პრიერიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული, მაგრამ რეალურ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება ადეკვატური ხარისხით არ არის რეალიზებული. მთვრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების დაცვის და ინტეგრაცის კუთხით მულტიკულტურალიზმის გეგმას წარმოადგენს, მაგრამ პოლიტიკური ჩართულობის შემთხვევაში ეს მხოლოდ ფრანგმატულად აისახება. იმ ქვეყნებში, რომლებიც მულტიკულტურალიზმს აღიარებენ ეთნიკური უმცირესობებისთვის, მთელი რიგი მექანიზმებია დანერგილი ამ კუთხით, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის ხასიათი გააჩნია. კერძოდ, ასეთ ღონისძიებებს შორის მოიაზრება ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობა, როგორც პარლამენტში, ასევე ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში. ეთნიკურ უმცირესობათა გარანტირებული წარმომადგენლობის არსებობა კვოტირების პრაქტიკის დანერგვით, პოლიტიკური პარტიებისათვის წამახალისებელი შეღავათების დაწესებით, ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო სიებში წამოყენებით და სხვა მსგავსი ღონისძიებებით.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე არ არის ორიენტირებული მსგავსი საშეღავათო ქმედებების ინიცირებისაკენ, შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობა და ჩართულობა ზოგადსახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პროცესებში დამოკიდებულია არადამკვიდრებულ ინსტიტუციურ მექანიზმებსა და საშეღავათო პოლიტიკაზე, არამედ პოლიტიკურ პარტიათა და სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა გადაწყვეტილებაზე, რაც მათ კეთილ ნებას უკავშირდება. პოლიტიკურ არენაზე ეთნიკურ უმცირესობათა არსებობას რომ გადავავლოთ თვალი, აღმოჩნდება, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობა არასაკმარისია უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესების სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებში ასახვის თვალსაზრისით. ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის განმსაზღვრელ ინდიკატორად თუ მივიჩნევთ უმცირესობათა მონაწილეობას საპარლამენტო საქმიანობასა და აღმასრულებელ

ხელისუფლებაში, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იქნება. ეთნიკური უმცირესობები ყოველთვის არიან წარმოდგენილნი საქართველოს პარლამენტში, თუმცა მათი რაოდენობა და პროცენტულობა მუდმივად მერყეობს. ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით ყველაზე ადეკვატური და პროპორციული წარმომადგენლობა 2016 წელს იყო საართველოს პარლამენტში, სადაც ეთნიკური უმცირესობების პარლამენტის 11 წევრს წარმოადგენს, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7.3 პროცენტს შეადგენს. წინა მოწვევის პარლამენტებისაგან განსხვავებით შედარებით უახლოვდება ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა საერთო პროცენტულ მაჩვენებელს, რაც 2016 წლისათვის 13.2 პროცენტს შეადგენდა. თუმცა ჯერ-ჯერობით ადრეა დასკვნების გამოტანა, ეს პოზიტიური დინამიკის ნაწილია თუ შემთხვევითობა.[28]

დღეს არსებული მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში არაადეკვატურია, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ადგილობრივ მმართველობაში მათი წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ამ ჯგუფების რაოდენობას. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ჩართულობის ხელისშემშლელი უმთავრესი ფაქტორი ენობრივი ბარიერია - კომპაქტურად დასახლების ადგილებში უმცირესობები დიდწილად ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას: აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესს, ჩასწვდეს მის არსს. მაგალითად, სწორედ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაცილებით დაბალია საქართველოს ევროატლანტიკურ პროცესებში გაწევრიანების მხარდაჭერა. ეს მეტწილად განპირობებულია რუსული პროპაგანდის დომინანტური როლით, ვინაიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინფორმაციას სწორედ რუსული არხების საშუალებით იღებს. სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს უშუალო სამეზობლოში დემოკრატიული პროცესები უკუსვლას განიცდის და ამიტომ ინფორმაციის სხვა წყაროც (სომხური, აზერბაიჯანული და თურქული) ლიბერალური ფასეულობების გავრცელებას ნაკლებად უწყობს ხელს.

[28] https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის“ თანახმად, 5-წლიანი სამოქმედო გეგმა, 2015-2020 წლების, მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების სრულფასოვან და ღირსეულ ინტეგრაციას მათი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობა ახმეტის საარჩევნო ოლქის მესამედს შეადგენს, მათი წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაახლოებით 10 პროცენტია. არჩევნებისას ძლიერია კოლექტიური არჩევანის გაკეთების ტენდენციები. მოსახლეობა უკმაყოფილოა იმით, რომ მათი პრობლემები, სხვა რეგიონის პრობლემებთან შედარებით, ნაკლებად შუქდება და იმ შემთხვევაში, როცა ამ რეგიონით მედიასაშუალებები ინტერესდებიან, მას ძირითადად უარყოფითი კონტექსტით წარმოადგენენ. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს შორის „მაჩალიკაშვილის საქმე“ ერთადერთია, რომელიც ფართო განხილვის საგნად იქცა. მეორე მხრივ, გარკვეულწილად ტაბუ ადევს ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორიცაა, ამ ხეობიდან სირიაში მოხალისეებად წასული ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი. ახალგაზრდობა მიუღებლად მიიჩნევს ხეობის მცხოვრებთა მიმართ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს, რაც საქართველოს სახელმწიფოსადმი ადგილობრივი მოქალაქეების გაუცხოებას იწვევს. ხეობაში EECMD-ის (აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომელშიც საქართველოს რამდენიმე ძირითადი პარტიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, პანკისელთა უმრავლესობამ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ხეობის მაცხოვრებლებზე. ასეთია არასამთავრობო და საინიციატივო ჯგუფების მუდმივი მონიტორინგი, საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებული გამკაცრებული პროცედურები და სხვ.

ფაქტია, რომ პანკისის ხეობა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პოტენციურ საფრთხეებს შეიცავს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უსაფრთხოების სამსახურების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. აქ პრობლემა ჩნდება იმის გამო, რომ სამოქალაქო საზოგადოება

აბსოლუტურად არ ინტერესდება პროცესების მონიტორინგით. გამოწვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა ამ თემაზე დაუფარავი და მრავალმხრივი დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების სრული ჩართულობით. ამით თავიდან იქნება აცილებული არაპროპორციული ზომების მიღება, რაც მოსახლეობის რადიკალიზაციას გამოიწვევს.

ასევე შეხვედრაზე ნათლად გამოჩნდა, რომ მოსახლეობას ნაკლები ინფორმაცია აქვს რეგიონებში არსებულ სიტუაციებზე. ბევრი ფიქრობს, რომ მათ წინაშე მდგარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები გაცილებით უარესია სხვა რეგიონებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომელთა დახმარებითაც პანკისის ხეობის მოსახლეობა უკეთ გაეცნობა სხვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონების მდგომარეობას. საქართველოს სხვა რეგიონებთან უფრო მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება უთუოდ ხელს შეუწყობს საერთო გზის შემუშავებას სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ასამაღლებად, არა მარტო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ, არამედ ზოგადად საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობაშიც.[29]

თითქმის ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის გასაძლიერებლად სპეციალური პოზიტიური მექანიზმების შემოღება ეფექტიანი და სწორი არ იქნებოდა. ვახუშტი მენაბდე-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით მიიჩნევს, რომ „არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების საკითხების იზოლირებულად დაყენება არასწორი იქნებოდა, რადგანაც ჩვენ გვჭირდება უნივერსალური მექანიზმები, რომლებიც ყველას უკეთესს დემოკრატიას მოუტანდა, ხოლო, ცალკეული ჯგუფების პოლიტიკაში ჩართვის მექანიზმებზე ექსკლუზიური ხაზგასმა არასწორია. ჩვენ უნდა შევქნათ ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ყველას მისცემს შესაძლებლობას, რომ გახდეს უფრო აქტიური“. მისი აზრით, საჭროა მსუბუქი მექანიზმები, რადგანაც ჩვენს საზოგადოებაში არ ყოფილა კონფლიქტი, ხოლო

[29] http://eecmd.org/wpcontent/uploads/2018/10/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_EECMD_HCNM_2018.pdf?fbclid=IwAR2gjJBDo9P3ZqUA7yj0FIlr9nX-8AWk7qFo5rlFUHFFJjwbpF-aKtpVqgg, პუბლიკაცია კვაშილავა ბ., ავტორობით „ეროვნული უმცირესობების ჩართულობა საქართველოს პოლოიტიკურ ცხოვრებაში“, 2018.

პოზიტიური მექანიზმები საჭიროა მაშინ, როცა ეთნიკურ ჯგუფებს შორის არის კონფლიქტი, ან არსებობს პოსტკონფლიქტური სიტუაცია. მისი თქმით, „სხვადასხვა გზებითა და ნეიტრალური მექანიზმებით უნდა შევეცადოთ, რომ ბუნებრივად გაიზარდოს პოლიტიკური მონაწილეობა, ხოლო თუ აღმოვაჩენთ, რომ ნეიტრალური მექანიზმები ვერ შველის, მაშინ, შესაძლოა, პოზიტიური მექანიზმები გახდეს საჭირო“.

პოზიტიური მექანიზმების შესახებ საუბრისას დავით უსუფაშვილი- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2012-2016 წლებში აცხადებს, - „ხელოვნური, მექანიკურად აწყობილი სამართლიანობისა და თანასწორობის მე ნაკლებად მჯერა. მე მჯერა უფრო ღრმად ფესვგამდგარი სამართლიანობის და თანასწორობის, რომელიც კულტურის და მენტალობის შედეგია. მე არ ვარ ასეთი ზომების წინააღმდეგი, მაგრამ მე ვერ ვიქნები მხოლოდ ასეთი ზომების გატარების იმედზე. შესაძლოა, ეს ზომები იყოს ყინულმჭრელი“. თუმცა, ასეთ პოზიტიურ მექანიზმებს სხვა ტრანსფორმაციული რეფორმებიც უნდა მოჰყვეს, როგორიცაა თვითმმართველობის რეფორმა.[30]

და ბოლოს, ისევე როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ეთნიკური უმცირესობებისთის დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მის ეფექტიან მუშაობაზე, რათა ხელი შეუწყოს ინტეგრაციის პროცესს და ეთნიკურმა უმცირესობებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მიიჩნიონ.

1.4. ეთნიკური უმცირესეობების პრობლემები

თანამედროვე მსოფლიო და არა მარტო საქართველო იბრძვის იმისთვის, რომ ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად სქესის, რასის, რელიგიისა და ორიენტაციის მიუხედავად, იყოს სრულფასოვანი წევრი საზოგადოების და თავი არ იგრძნოს გარიყულად. ცივილიზირებული სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი პროგრესის გზას ადგანან, მაგრამ არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ შორს არიან ამ ღირებულებებისაგან, რომელსაც ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებები ჰქვია.

[30]https://emc.org.ge/ka/products/aradominanturi-etnikuri-jgufebis-politikuri-monatsileobis-sakitkhi-sakartvelos-konstitutsiebshi, ქ.მამენდლი, „არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციებში“ , თბ., 2020

მნიშვნელოვანი წინსვლის მიუხედავად, საქართველოშიც ჯერ კიდევ უამრავი პრობლემებია ამ კუთხით.

საქართველო, ისევე როგორც თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, მულტიეთნიკური ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ქართველობის უმრავლესობას რომ კითხოთ, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სიმდიდრეა.

CRRC საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, რომელიც ჩატარდა პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, რესპონდენტებმა დაასახელეს ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებსაც, მათი აზრით, საქართველოში სხვადასხვა ჯგუფი აწყდება. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ უმცირესობის ის ჯგუფი, რომელსაც თავად წარმოადგენდნენ. დოკუმენტის წინამდებარე ნაწილი უმცირესობის ჯგუფებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ კითხვებზე მიღებულ პასუხებს მიმოიხილავს. შესაძლებლობის შესაბამისად, მოპოვებული მონაცემები ჩაშალეს იმის მიხედვით, მიეკუთვნებოდა თუ არა რესპონდენტი შესაბამის ჯგუფს.

უმრავლესობის 38% მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ეთნიკური უმცირესობები აწყდენიან, ეს არის ენის უცოდინრობა. ამასთან, ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ქართული ენის უცოდინრობა ხშირად ზღუდავს შრომის ბაზარზე წარმატების შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით, რა გასაკვირია, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხად დამსაქმებლების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების დასაქმების სურვილის არქონა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული პრობლემები პირველ ხუთეულში დასახელდა.

ეკონომიკური საკითხები ეთნიკურ უმცირესობათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის აღიარებული. იმავდროულად, დასმულ კითხვაზე მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო - ეთნიკურ უმცირესობებს „არ აქვთ პრობლემები“ 26%, ხოლო მეოთხე გავრცელებულ პასუხს რაც შეეხება, პასუხი კითხვაზე იყო - „არ ვიცი“ 14%. მონაცემები ცხადყოფს, რომ ეთნიკური ქართველები ნაკლებ ემპათიას იჩენენ

საქართველოში უმცირესობების პრობლემების მიმართ: სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, თითქმის სამჯერ მეტმა ეთნიკურმა ქართველმა განაცხადა, რომ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემები არ აქვთ (29%). სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვადასხვა პრობლემა იყო ხაზგასმული. კერძოდ, ეთნიკური აზერბაიჯანელები (50%) ქართული ენის არცოდნას პრობლემად ეთნიკურ ქართველებსა (38%) და ეთნიკურ სომხებზე (34%) მეტად აღიქვამენ. ეთნიკური სომხები ყველაზე ხშირად გამოყოფდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფოს სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (19%) და პოლიტიკაში არასათანადო წარმომადგენლობა (17%).[31]

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ერთ-ერთი ბარიერია ინტეგრაციის გზაზე. საბჭოთა კავშირის დაშლამდე პანკისის მოსახლეობის ნაწილი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, ნაწილი კი რეგიონში არსებულ სხვადასხვა საწარმოში მუშაობდა. შემდეგ წლებში, როცა ეს საწარმოები გაჩერდა ან გაუქმდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუსაქმებელი დარჩა. პანკისელთა ერთადერთ საარსებო წყაროდ მიწა იქცა. ექსპერტების თქმით, პანკისის ხეობაში, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, ყველაზე დიდი პრობლემა დასაქმებაა. როგორც ერთ-ერთი ეთნიკურად ქისტი ექსპერტი აღნიშნავს, ამის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს ხეობაში იმ ადამიანთა სიმცირე, ვისაც უმაღლესი განათლება არ აქვს მიღებული. მათი თქმით, პანკისის ხეობის მოსახლეობა დაკავებულია მიწათმოქმედებით, მხოლოდ მცირე ნაწილი (ძირითადად ქალები) მუშაობენ ხეობაში არსებულ სკოლებში, ბაღებსა და საზოგადოებრივ ცენტრში, რომელიც მხოლოდ 2014 წელს გაიხსნა. ხეობაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები შეიძლება მივიჩნიოთ იმ გადამწყვეტ ფაქტორად, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდების გადინებას არაბულ ქვეყნებში და კრიმინალის მაღალ დონეს, კერძოდ კი, იარაღისა და ნარკოტიკის კონტრაბანდას.[32]

---

[31]https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-in-attitudes-and-awareness-g/16808ef62b, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა, კვლევა ჩატარდა CRRC საქართველოს მიერ პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, საბჭო, 2018

[32]https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf, დავითაშვილი ს., „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“.

რით დაამახსოვრდება საზოგადოებას 21-ე საუკუნე? ალბათ, პირველ რიგში იმით, რომ ის ადამიანების უფლებების, პლანეტის სრულფასოვანი მოქალაქის, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ბრძოლის საუკუნეა.

ბევრი ქართველი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და მათ შორის პრობლემები ნაკლებად იყო. თუმცა, რეალური სიტუაცია იდეალურისაგან რომ ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა, ამაზე უამრავი ფაქტი მეტყველებს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, ექსპერტების ნაწილი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამბობს, რომ ბუნებით ტოლერანტული ქართველი უახლოეს მომავალში საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ნეგატიურ განწყობებს აუცილებლად დაძლევს და ამის ნიშნები უკვე არსებობს. თუმცა, ასეთი ოპტიმისტური დამოკიდებულების მიუხედავად, ცალკეული კვლევები მეტყველებს, რომ ეთნიკური და სხვა უმცირესობების დიდი ნაწილი საქართველოში, კვლავ ვერ გრძნობს თავს ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ.[33]

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა, არის სახელმწიფო ენის ცუდი ცოდნა, გარკვეულ შემთხვევებში, არ ცოდნა, რაც სერიოზულად აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას თემის ცხოვრებაში. როგორც წესი, რეგიონებში მოსახლე ეთნიკური უმცირესობები სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას, რაც იწვევს მათ საინფორმაციო იზოლაციას და ართულებს მათ ურთიერთობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და დაწესებულებებთან, სადაც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო ენაზე ხორციელდება. ამ პრობლემაზე მიანიშნებს პარტნიორ ორგანიზაციის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების შინაარსიც. „დემოკრატ მესხთა კავშირის“ მხოლოდ ახალქალაქის ფილიალის იურისტი 139 ბენეფიციარს დაეხმარა სახელმწიფო უწყებებისთვის წარსადგენი განცხადების შედგენაში. იურისტის ცნობით განცხადებების შედგენაში დასახმარებლად მიმართვის

[33] https://presa.ge/?m=society&AID=57492 , 20.04.2018.

მიზეზი, საკითხის იურიდიულ შინაარსთან ერთად, ქართული ენის სათანადო არცოდნის პრობლემა იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის[34] თანახმად, პირი ვალდებულია, ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც არასახელმწიფო ენაზეა შედგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის სახით წარადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში. აღნიშნული წესი დამატებით პრობლემებს უქმნის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ვინაიდან საკუთარი სახსრებით დოკუმენტების თარგმნისა და ნოტარიული დამოწმების უზრუნველყოფა მათთვის მნიშვნელოვან ხარჯებთან და გაჭიანურებულ წარმოებასთან არის დაკავშირებული. საკითხის გადაჭრის მიზნით პროექტის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.[35]

ეთნიკური უმცირესობების პრობლემებს შორის აღსანიშნავია ასევე ადრეული ქორწინების პრობლემა და მასთან დაკავშირებული „რიტუალები“.[36]

სიღრმისეული კვლევების და ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფოს მხრიდან არანაირ მხარდაჭერას არ იღებენ. ქისტები სახელმწიფოზე საუბრისას კი, ასახელებენ ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის კონპეტენცია სახელმწიფოს მოვალეობაა, მაგრამ ამჟამადაც გადაუჭრელი რჩება პანკისის ხეობაში.

---

[34]https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=34 , საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

[35]https://www.gdi.ge/uploads/other/0/708.pdf?fbclid=IwAR0ffmfiuHW1q7UmZjbyXwdoL8UCEpX0MIx5MHoUlojRo1L_wtTVAmVogXo, ე.მარიკაშვილი, მ. გიგინეიშვილი, ანგარიში „უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“, თბ., 2017

[36]https://openscience.ge/bitstream/1/1019/1/MA%20Thesis.Karosanidze%20%20kultura.pdf, თ.ქაროსანიძე „ქართველი ქალის სოციალური პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები პროექტის „ქალები საქართველოდან“ მაგალითზე“, თბ., 2017

თავი 2. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება და მათი ინტეგრაციის საკითხები

2.1 თვლიან თუ არა ქისტები თავიანთ სამშობლოდ საქართველოს

მსოფლიოში ბევრად მეტი ეთნოსია ანუ ეროვნება, ვიდრე სახელმწიფო, უფრო მეტიც სახელმწიფოები საუკუნეების მანძილზე ნადგურდებოდნენ და ამიტომ სხვადასხვა ეროვნებები ირეოდნენ ერთმანეთში. არსებობენ ქართველებზე ბევრად მრავალრიცხოვანი ეროვრული ჯგუფები, ამის გათვალისწინებით ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რადგან გვაქვს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაგვაჩნია მშობლიური ენა, გვაქვს ტერიტორიები, რომლის საზღვრებიც წლების მანძილზე იცვლებოდა. ამდენი სიდუხჭირის გამო სახელმწიფოები ზოგჯერ ქრებოდნენ უკვალოდ, მაგრამ ჩვენ გადავურჩით და ახლა არამარტო ქართველი მოქალაქეების მიმართ გვაქვს პასუხისმებლობა, არამედ ეთნიკური ნიშნის წარმომადგენლებზეც პასუხისმგებელნი ვართ, რომლებიც მრავლად არიან საქართველოში. ეთნიკური ჯგუფები ყველაზე მგრძნობიარეები არიან ამა თუ იმ ცვლილებების მიმართ და მძაფრად აღიქვამენ. საქართველოს მრავალფეროვან და მრავალეთნიკურ ქვეყანად მოვიხსენიებთ ხშირად. ასე იყო მუდამ და ასე იქნება მომავალშიც. ამაში გასაკვირი არაფერია.[37]

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, მოსახალეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 პროცენტი მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობებს. მათ შორის ყველაზე მსხვილ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.2 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი), დანარჩენი სხა ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურ დასახლებებს ნაკლებად ქმნიან და დასახლებელები არიან სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ ნაწილში. ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა და კულტურულად მრავალფეროვანი თემების არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა საქართველოს ხელისუფლებისთვის, მთავარი გამოწვევა კი მდგომარეობს ადეკვატური და ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებაში.ამ პოლიტიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ის, თუ

[37] https://www.gfsis.org/files/my-world/4/Georgia.pdf, ა.ქიქოძე. „ჩემი სამყარო“ ჟურნალი ახალგაზრდებისთვის, 2014.

რამდენად მოახერხებს ქართული პოლიტიკური ორგანიზმი ჩართულობაზე, თანამონაწილეობასა და პლურალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.[38]

მრავალფეროვნება ეფუძნება ფაქტებს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამიანები აღიარებენ თითოული ადამიანის უნიკალურობასა და ინდივიდუალურობას. ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთს განსხვავევებების მიუხედავად, რაც ზრდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, ეს კი დემოკრატიული სახელმწიფოდ ჩამოყალიბების წინაპირობაა.

საქართველო მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფერის, რასის, სქესის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის და სხვა ნიშნით. აქედან გამომდინარე საქართველო ნამდვილად მრავალეთნიკური ქვეყანაა თავის ეთნიკური უმცირესობებით მრავალფეროვნებით. სახელმწიფო კი მეტნაკლებად უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების ღირსეულ, სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბების პროცესს.

ეთნიკური უმცირესობებიდან ყველაზე მეტად საკუთარ სამშობლოდ საქართველოს ქისტები და ოსები მიიჩნევენ. ქართული ყველაზე უკეთ მათ იციან. ქართველები ჩეჩნებსა და ინგუშებს ქისტებს უწოდებენ. ამასთან ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ერთად „ვაინახია“, რაც ჩვენს ხალხს ნიშნავს. ჩეჩნების სახელწოდება „ნოხჩო“, რომელიც ქართველ მწერალს მე-14 საუკუნის ბიბლიის მინაწერზე პირველად ჰყავს მოხსენიებული. ქართულ წერილობით წყაროებში ვაინახი დურძუკებად ან ძურძუკებად მოიხსენიებენ. ქართული ისტორიული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ვაინახების შემოსვლა საქართველოში მე-3 საუკუნეში ფიქსირდება. საქართველოშო ვაინახთა გადმოსახლებას მე-13 საუკუნეშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მე-18 საუკუნის მიწურულიდან და მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე. მათი პირველი ნაკადი თიანეთის მაზრის სოფელ ხორბალოში დასახლდნენ. პანკისის ხეობაში, როგორც ჩანს, პირველად დასახლდნენ სოფელ დუისში 1826 წელს, შემდეგ ომალოში და ა. შ.

[38]https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019.

საქართველოში მცხოვრები ქისტები შობადობის უაღრესად მაღალი დონით გამოირჩევიან. მაგალითად 2002 წლის მონაცემებით 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალს საქართველოში 2,1 ბავშვი ყავდა (იგულისხმება ცოცხალი ბავშვები), ყოველ ქართველ ქალს 2,0 ბავშვი, ხოლო ყოველ ქისტ ქალს 2,7 ბავშვი, რაც ყველაზე მაღალი მაცვენებელია დანარჩენი ეროვნების ქალებთან შედარებით.

საქართველოში მცხოვრები ქისტები ვაჰაბიზმის მიმდევრები არიან, თუმცა მე-19 საუკუნეში მათი ნაწილი ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი იყო. მაგალითად, 1888 წლის სოფელ ჯოყოლოში არსებული ფიცრული ეკლესიის ნაცვლად ქვითკირის ეკლესია ააშენეს, ხოლო 1902 წელს სოფელ დუისში - მეჩეთი. ქისტები ლაპარაკობენ ჩეჩნურ - ინგუშური ენების (კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფი) ქისტურ დიალექტზე. ისინი განათლებას ქართულ ენაზე იღებენ და ამიტომ ფლობენ მშობლიურ ენასთან ერთად ქართულსაც. მოსახლეების 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით თავისი ეროვნების ენას მშობლიურ ენად თვლიდა ქისტების 99,6 პროცენტი. ამავე დროს ქისტების 77,2 პროცენტი თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას, ხოლო რუსულს 14,5 პროცენტი.

1990-იანი წლების დასწყისში ეკონომიკური პირობების უაღრესად გაუარესების გამო ქისტების დიდი ნაწილი (ახალგაზრდები და საშუალო ასაკის ადამიანები) ჩეჩნეთში გადასახლდა, მაგრამ ძირითადად ომის გამო ქისტების უმრავლესობა ისევ პანკისის ხეობაში დაბრუნდა, სადაც მათ დაემატა ომის შედეგად ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი.[39]

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თავიაანთ სამშობლოდ ყველაზე მეტად საქართველოს ქისტები და ოსები მიიჩნევენ. ამ კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სიღარიბე ეროვნული უმცირესობებისთვის უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ზოგადი მოსახლეობისთვის. ასევე მთავარ პრობლემად რჩება ქართული ენის უცოდინრობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

„ტექსტის გაგებაა ყველაზე სუსტი რგოლი, ყველაზე დიდი პრობლემა ენის მხრივ არის აზერბაიჯანელებში. ამასთან, გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედი მიიჩნევს თავს

[39]თოთაძე ა., „საქართველოს მოსახლების ეთნიკური შემადგენლობა“ 2009.

პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ. პოლიტიკური პარტიები გაუცხოებულები არიან ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ხოლო თვითმმართველობებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ღრმა ნაპრალია“ - ამბობს სოციოლოგი, იაგო კაჭკაჭიშვილი, რომელმაც კვლევა წარადგინა. [40]

ჩატარებული კვლევების და ანალიზების გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს თავიანთ სამშობლოდ თვლიან ქისტები, განსხვავებით საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობებისა. პანკისის ხეობა ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ქისტები კი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები.

2.2. ქისტების გაუცხოება ეთნიკურად ქართულ მოსახლეობასთან

ქისტების და ზოგადად ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება ქართულ თემთან განაპირობებულია სხვადასხვა პრობლემებით. ქისტებს ძველი დროიდანვე ჰქონდათ მიზიდულობის ძალა ისლამურ სახემწიფოებთან, უფრო მეტიც, ქისტების უმრავლესობა საკუთარ სამშობლოდაც კი მიიჩნევდა ისლამურ სახელმწიფოებს. სწორედ, რომ ეს მიზიდულობის ძალა ვაჰაბიტური რელიგიის მიმართ წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებისა და დანარჩენ ქვეყნას შორის ორმხრივი გაუცხოვების მთავარ მიზეზს.

ქართული ენის არცოდნის გამო ეთნიკურ უმცირესობებს ექმნებათ მთელი რიგი პრობლემები:

- ენის არცოდნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ხელს უშლის მიღონ სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაო ადგილები;

[40] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A9%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C/29947703.html, 2019.

- არაქართველებს ექმნებათ პრობლემები სახელმწიფო დაწესებულებებთან მიმართებაში და შრომითი მოწყობის სფეროში;
- ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემები ექმნებათ ხარისხიანი განათლების მიღებაში;
- ენის არცოდნის გამო ისინი ვერ იღებენ ადეკვატურ ინფორმაციას ქვეყნის ცხოვრების სხადასხვა ასპექტის შესახებ;
- არაქართველებს დაბრკოლებები ექმნებათ ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას.

ყველა ზემოთ აღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ექმნებათ ენის არცოდნის გამო, მიუთითებს, რომ ენის არცოდნა ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობებს, იყვნენ ქვეყნის აქტიური, სრულფასოვანი მოქალაქეები და გავლენა იქონიონ ქვეყნის განვითარების მიმართულებაზე. პრობლემები დაკავშირებულია გაუცხოვებასა და ნდობის დეფიციტთან ქართულ და არაქართულ თემებს შორის, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთო საკომუნიკაციო ენის არსებობა.

ამ პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის საკითხში, პირველ რიგში თვითონ ეთნიკური უმცირესობები არიან დაინტერესებულნი, რომლებიც თავს მეორეხარისხოვნად და სახელმწიფოსგან მიტოვებულად გრძნობენ. მეორე მხრივ კი, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია მოსახლეობისთვის და სახელმწიფოსთვისაც მნიშნელოვანი საკითხია, რადგან ამ პრობლემის გადაწყვეტით ამაღლდება სამოქალაქო ჩართულობა ხსვადასხვა პროცესში. ზემოთ აღნიშნული მიმართულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისკენ, რაშიც მთვარი წვლილი, უდაოდ ქართულმა ენამ უნდა შეასრულოს.[41]

სიღრმისეული ანალიზების და ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუებიდან ჩანს, (რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუებს, ჩატარებულია ათი სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა თოვლის გუნდის პრინციპით. კვლევის ფაგლებში

[41] https://openscience.ge/bitstream/1/1246/1/MA%20thesis.Baramidze%20SAJAR2019.pdf?fbclid=IwAR2VLN49OPOtyAAYnAnUgBhe-cjgrXu-4zeNhPlD89XtlYgLZhiREWxFX3Q, ბარამიძე ი., „ქართული ენის სწავლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორები კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში“, თბ., 2019

გამოვკითხეთ 18-დან 65 წლამდე ექვსი მამაკაცი და ოთხი ქალი.) რომ სახელწიფოსგან არანაირ მხარდაჭერას არ იღებს ქისტური თემი. ქისტები სახელმწიფოზე საუბრობრისას ასახელებენ ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა და ეს პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება. ეს კი გაუცხოების კიდევ ერთი მანიშნებელია, რადგან ქისტური თემი თავს ვერ გრძნობს როგორც ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქე. ხეობას დღემდე არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა, არაა ბიბლიოთეკები. ხეობაში, სადაც მხოლოდ 12 სოფელია, არ არსებობს საავადმყოფო და სამედიცინო პუნქტი. ამ სიტუაციის გათვალისწინებით კი, ქისტ ახალგაზრდებს ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოს მიმართ. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით „მათ ჩვენ არ ვჭირდებით, არც ჩვენ გვჭირდება. თავი მაინც გაგვაქვს რამენაირად მათ გარეშეც“ (უსუფი, 24 წლის.).

მასწავლებლები სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს განათლების სფეროს დახვეწაში ხედავენ. მათი თქმით, თუ სკოლებში მიაქცევენ დისციპლინის ამაღლებას ყურადღებას, ახალგაზრდებს აღარ შეეძლებათ მთელი დღე მეჩეთში გაატარონ, რაც მათი აზრით შეამცირებს სირიაში წამსვლელ მებრძოლთა რაოდენობას. საქართველო პასიურადაა განწყობილი ასევე ქისტი ახალგაზრდების განათლების მიღებაშიც. რესპოდენტების თქმით, ქისტი ახალგაზრდების განათლებას რეგულარულად აფინანსებენ სხვა ქვეყნები და მოტივირებულები არიან საზღვარგარეთ სწავლის მიღებაში.[42]

საქართველოს სხავდასხვა ქალაქში ხშირად იმართება სამოქალაქო ინტეგრაციის ხელისშეწყობის მიზნით კვირეულები. ამ კვირეულების მიზანია ქართულ-ვაინახური ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება. ერთ-ერთი ასეთი კვირეული მოეწყო გორშიც, სადაც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპიძლა პანკისის ხეობიდან მოწვეულ სტუმრებს. შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს მრჩეველი, მექა ხანგოშვილი კვირეულის მნიშვნელობაზე საუბრობს და ამბობს, რომ ეს ქისტების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის

[42]https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf, დავითაშვილი ს., „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“.

აუცილებელია. კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი იყო ქისტ ქალთ საბჭოს მიერ განხორციელებული პრეზენტაციების ჩვენება. მექა ხარგოშვილმა ასევე ისაუბრა ქისტური თემის ჩართულობაზე და გორის უნივერსიტეტის წვლილზე, რომელიც სათვეში ედგა ამ კვირეულს.

„ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ღონისძიებები. აფხაზეთის ომის შემდეგ დაგეგმილი პროვოკაციების შედეგად, სამწუხაროდ, ქისტ ხალხსა და ქართულ საზოგადოებას შორის გარკვეული გაუცხოება დაიწყო. ჩანაფიქრიც ეს იყო- საზოგადოების გახლეჩა. ქისტები ქართული საზოგადოების ორგანული ნაწილი არიან და იყვნენ ყოველთვის, მაგრამ ამ არასასიამოვნო მოვლენების შედეგად პანკისის ხეობა, თვისი მოსახლეობითურთ, უფრო უარყოფით მხარით წარმოჩინდება ხოლმე. ამას 90-იანი პოლიტიკური და სოიალური ფონიც დაემატა. ძალიან მძიმე ეკონომიკური კრიზისის შედეგად ქისტ მოსახლეობასა და ქართულ საზოგადოებას შორის ინტეგრაციის პრობლემა დადგა. მართლია ნაკლებად, ვიდრე სხვა რეგიონებში, მაგრამ გაუცხოება მაინც იყო. ამიტომ, მსგავსი ღონისძიებები სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით ძლიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, ქისტების რაოდენობა საქართველოში სულ უფრო მცირდება, ბოლო აღწერით მათი რიცხვი 6 ათასამდეა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ხეობის განვითარებასა და მათი კულტურის, ადათ-წესების, იდენტობის შნარჩუნებას ხელი შევუწყოთ. მათი წახალისება აუცილებელია. განსაკუთრებით კი ახალგაზრგებისა და ბავშვების.“ - აღნიშნა მექა ხარგოშვილმა.[43]

ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანამ ზემოთ აღნიშნული პრობლემები იარსებებს ეთნიკური უმცირესობებისთვის და სანამ სახელმწიფო არ დაისახავს მიზნად ეთნიკური უმცირესობების მიმართ ისეთ ღონისძიებებს, რომ მათ შეძლონ თავი საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნონ, გაუცხოვება ქისტ თემსა და ქართელ საზოგადოებას შორის მაინც იქნება.

[43] http://kvira.ge/361721, 7.11.2017.

2.3. ქალის როლი ეთნიკურ საზოგადოებაში ქისტური თემის მაგალითზე

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას, მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია, თუ ისინი აქტიურად შეიცვლიან ცხოვრების სტილს, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში. სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი აქვს. ის დამოკიდებულია სახელმწიფოსა და დემოკრატიის დონეზე, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ელიტის მიერ ქალთა საკითხის არსის გაგებასა და მათ პოზიციაზე. ქალების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად რამდენიმე ტიპს განასხვავებს: პატრიარქალური სახელმწიფო პოლიტიკა - ეს არის პოლიტიკა, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციების განსაზღვრული განაწილების კონცეფციას ეფუძნება. ქალის ბუნებრივ სოციალურ ფუნქციად და დანიშნულებად დედობა, საშინაო მეურნეობის გაძღოლა და ბავშვების აღზრდა ითვლება. პატერნალისტური პოლიტიკა ქალთა საკითხში - ეს არის ქალის მიმართ სახელმწიფოს მეურვეობისა და პროტექციონიზმის პოლიტიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს: ქალების სოციალური დაცვის სისტემის ორგანიზაცია - შეღავათების, დახმარების, შვებულებების, ქალის შრომის გამოყენების შეზღუდვის სახით.[44]

ქისტი ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი კახეთის რეგიონის პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურებში. ქისტები ჩართულნი არიან მხოლოდ ადგილობრივ დონეზე საკრებულოში სოფლებიდან. გამონაკლისს წარმოადგენს ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე ერთი მდივანი გამგეობაში, რომლებიც სწორედ ქისტების თემს წარმოადგენენ. ქალთა კლუბების, რომლებსაც „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი“ ხელმძღვანელობს, და უხუცესთა საბჭოს (ქალების) გარდა, არ არსებობს ქალთა ორგანიზაციები. ისინი ცდილობენ ორივე საბჭოს დაახლოებას, რათა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება. ქალებს სურთ იყვნენ ჩართულნი

[44] https://openscience.ge/bitstream/1/1099/1/MA%20Thesis.Chikviladze%20%20politmec.pdf, მ. ჩიკვილაძე, „ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე“, თბ., 2017.

პროცესებში, რაც მათ საშუალებას მისცემდა, გადაწყვეტილებებზე მოეხდინათ გავლენა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩატარეს კვლევები, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცებიც. ქალებს ურჩევნიათ ჰქონდეთ დაბალი, მაგრამ რეგულარური ხელფასი. მართალია გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმირებულება მაღალია, მაგრამ მის ინსტიტუციურ ფორმებზე, როგორებიცაა გენდერული თანასწორობის საბჭო, ეროვნული სამოქმედო გეგმა და სხვა სტრატეგიები, ინფორმაციის ნაკლებობაა. ქისტი ქალების დასაქმება, მხოლოდ შესაძლებელია საჯარო სექტორებში სკოლებსა და ბაღებში, სადაც ხელფასი ძალიან მწირია.

ინფორმაცია ქისტი ქალების შემოსავლების განაწილების შესახებ ეფუძნება ორ წყაროს: მექა ხანგოშვილი, სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები: პენსია 80%, მასწავლებლის ხელფასი 5%, სხვა საჯარო სექტორი 3%, ვაჭრობა, მათ შორის ავტომანქანებით 10%, გადმორიცხვები უცხოეთიდან 2%.[45]

ექსპერტთა თქმით, (ესქპერტთა შერჩევა მოხდა იმის მიხედვით, თუ რამდენად კომპეტენტურნი იყვნენ ისინი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ხუთი ექსპერტი, რომელთაგან ორი მათგანი ქისტური თემის წარმოამდგენელია და უშუალოდ მონაწილეობს ყველა იმ პროცესში, რომელიც თემის შიგნით მიმდინარეობს.) პანკისის ხეობა ტრადიციული და მკაცრი საზოგადოებაა ქალის მიმართ. ქისტურ თემში არსებული ოჯახური პრობლემები იშვიათად წყდება სასამართლოს გზით. 2011 წლამდე ქალთა პრობლემებს მამაკაცების უხუცესთა საბჭო განაგებდა. როგორც ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, ქალთა უხუცესი საბჭოს დაარსებამ ქალების მდგომარეობა შეამსუბუქა. ქალები მძიმე მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნილიყვნენ, ამოტომ შეიქმნა 2011 წლიდან უხუცეს ქალთა საბჭო, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ უხუცეს კაცებთან და მედიატორის როლს ასრულებდნენ 12 სხვადასხვა სასამართლოზე, როგორიცაა: ბავშვის დაბრუნება დედასთან, ალიმენტის

[45]https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/01/needs-assessment-of-ethnic-minority-women-in-georgia „ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში“, თბ., 2014.

დაკისრება, ქონების დაკანონება და სხვა ოჯახური კონფლიქტები. იმ ფაქტს, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალები დავის გადასაჭრელად მიმართავენ არა სამართლებრივ გზას, არამედ ისეთ ინსტიტუტს, როგორიც უხუცეს ქალთა საბჭოა, ექსპერტები ამ ფაქტს დადებითად აფასებენ. ექსპერტები ასევე საუბრობენ ქალების ინტეგრაციის პრობლემის სიმწვავეზე. პანკისის ხეობაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ქალზე ძალადობის შემთხვევები ფიქსირდება, თუმცა, ძირითდად, ოჯახის წევრებს ამის საჯაროდ გამოტანა არ სურთ, რაც ართულებს პრობლემის მოგვარებას. პანკისის ხეობაში ქალებს ნაკლებად აქვთ განათლების მიღების შესაძლებლობა და უცხო თემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის საშუალება. გარდა ამისა, ქალები ოჯახის შექმნის შემდგომ, ვერ ახერხებენ კარიერულ წინსვლას, რადგან პანკისის ხეობის ყოფილი ემირის ა.ქ-ის თქმით, კაცი უპირატესია ქალთან შედარებით, შესაბამისად, კაცი წყვეტს ქალის ცხოვრების თითოელ დეტალს.[46]

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებმა, რომლებიც კვლევის ფარგლებში იყვნენ გამოკითხულნი, ნათლად გვიჩვენა, რომ ქალის როლი ქისტურ თემში საკმაოდ მძიმეა. ისინი ვერ იღებენ განათლებას, ან თუნდაც მიიღონ განათლება, პანკისის ხეობაში დაბრუნების შემდგომ მათ არ აქვთ არანაირი პერსპექტივა დასაქმებისა. მაშინ, როდესაც კაცები მეჩეთში ლოცულობენ, ქალებს სახლში უამრავი მძიმე საქმის შესრულება უწევთ. ამასთანავე ორივე სქესის წარმომადგენელი, მაინც უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებს. მიუხედავად ამისა, რესპოდენტები ამბობენ, რომ არსად არაა ქალთა უფლებები დაცული ისე, როგორც ეს პანკისის ხეობაშია.

[46] https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf, დავითაშვილი ს., „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“.

დასკვნა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და არის. ნაშრომის მიზანი იყო შეგვესწავლა ქისტების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი, თუ რამდენად ჩართულები არიან ამ პროცესებში. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები თავიანთ სამშობლოდ მაინც საქართველოს მიიჩნევენ, ყველაფრის მიუხედავად. თუმცა, ამის მიუხედავად, მათ ექმნებათ გარკვეული პრობლემები, რაც იწვევს დაშორებას და გაუცხოებას ქართულ საზოგადოებასთან. ერთ-ერთი პრობლემა ენის არცოდნაა, რომელიც ასევე გარკვეულ ბარიერს წარმოშობს ინტეგრაციის პროცესში. უფრო კონკრეტულად ენობრივი ბარიერი ხელს უშლის განათლების მიღებას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, წარმოშობს დასაქმების პრობლემას და სხვა. ნაშრომის მთვარი მიზანი იყო, შეგვესწავლა პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ინტეგრაციის საკითხი და თავისებურებები. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ინტეგრაციის საკითხი პანკისის ხეობაში მწვავედ დგას. აღსანიშნავია, რომ პრობლემები პანკისის ხეობაში ადრეც ყოფილა, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობით ბევრად რთულადაა სიტუაცია, რაც თავისთავად ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესს. გამოყენებული კვლევებიდან გამომდინარე რესპოდენტები საუბრობენ ხელისუფლების როლზე, რომელიც მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სახელმწიფო ერთადერთია, რომელსაც შეუძლია ეთნიკური პრობლემების მოგვარება და მათი საზოგადოებაში სრულფასოვან წევრებად დამკვიდრება. ამ პრობლემების მოუგვარებლობამ, შესაძლოა სახელმწიფოსაც შეუქმნას პრობლემები, ვინაიდან ვაჰაბიტური ინტერესის სფეროში საქართველოცაა მოქცეული. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მთავრობის აქტიური სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან აიცილოს ქვეყანამ საფრთხე.

პანკისის ხეობაში პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს ისეთი სამოქმედო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ქისტების ინტეგრაციას. სამოქმედო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ენის შესწავლასა და განათლებას, ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფას,

სოციალურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ასევე საშუალება უნდა ეძლეოდეთ დასაქმების. ამ პრობლემების სრულად თუ არა, ნაწილობრივ აღმოფხვრის შემთხვევაში ქისტების ინტეგრაციის საკითხი გაუმჯობესდება და მოხდება მათი დამკვიდრება სრულფასოვან წევრებად. ასევე სახელმწიფოს მხრიდან უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა აქტივობები და პროექტები, რომლებშიც ჩართულნი იქნებიან ეთნიკური უმცირესობები და უმრავლესობები, მათ საშუალება ექნებათ გაიცნონ ერთმანეთი, გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება. ესეც ინტეგრაციის ხელშწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ამრიგად, ქისტების ინტეგრაციის საკითხი დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკაზე. ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს ქისტების აქტიურ ჩართულობას. გასათვალისწინებელია, რომ ეს იქნება გრძლვადიანი, თუმცა არა მოუგვარებელი პრობლემა.

რეკომენდაციები

- ✓ სახელმწიფომ დაისახოს პერსპექტივა, ქისტების საზოგაოებაში თვითდამვიდრებისთვის და სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებისთვის.
- ✓ საზოგადოების მხრიდან არ იყოს ნეგატიური დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ, უფრო მეტად ინფორმირებულები იყვნენ ქისტების პრობლემების საკითში მოსახლეობა და უფრო მეტიც, დაეხმარონ მათ პრობლემების გადაჭრაში.
- ✓ მნიშვნელოვანად აუცილებელი გახდეს იმ ინფორმაციის გადამოწმება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ეხებათ, რათა არ მოხდეს ცრუ ინფორმაციის გაჟღერება მედიის მხრიდან.
- ✓ შეისწავლონ სახელმწიფო ენა და მიიღონ სრულფასოვანი განათლება.
- ✓ დასაქმდნენ ყველა სფეროში ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისა, ჩვენ მიერ გამოყენებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ქისტების ინტეგრაციის საკითხი კიდევ პრობლემატურია. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია განხორციელდეს ქმედითი ნაბიჯები, რათა გამოვლინდეს ქისტების პრობლემები,

აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები, რაც წინსვლის საშუალებას მოგვცემს ინტეგრაციის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ბარამიძე ი., „ქართული ენის სწავლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების განმაპირობებელი ფაქტორები კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში“, თბ., 2019წ. გვ.12-15
2) ბარქაია მ., ბ.ჯანელიძე, კვლევა „უსართხოების მზერის ქვეშ: ისტორია, რელიგია და პოლიტიკა პანკისის ხეობაში“, 2018 წელი.
3) თოთაძე ა., „საქართველოს მოსახლეების ეთნიკური შემადგენლობა“ 2009 წლის გამომცემლობა გვ.203-205
4) ფირანიშვილი თ, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა-2019 წლისგამომცემლობა, თბილისი, 2019 წ.
5) ქავთარაძე ლ., სახელმძღვანელო მედიისთვის, ძალადობრივ ექსტრიმიზთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, თბილისი 2019 წელი, გვ. 66-70.
6) https://openscience.ge/bitstream/1/1125/1/Ma-Thesis-Abashidze%20%20politmec.pdf, აბაშიძე გ., უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში, თბილისი, 2017 წელი.[ბოლოს ნანახი 1.08.2020]
7) https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/Politikis%20metsnierebata,Zviad%20abaSize%20Disertacia.pdf, აბაშიძე ზ., ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში, თბ. 2011 წ. გვ 22-24.[ბოლოს ნანახია01.08.2020.]
8) https://www.gdi.ge/uploads/other/0/708.pdf, მარიკაშვილი ე., გიგინეიშვილი მ., ანგარიში „უმცირესობათა უფლებების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“, თბ., 2017 წელი. [ბოლოს ნანახია 01.08.2020]
9) https://emc.org.ge/ka/products/aradominanturi-etnikuri-jgufebis-politikuri-monatsileobis-sakitkhi-sakartvelos-konstitutsiebshi,

ქ. მამენდლი, „არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციებში“ , თბ., 2020 წელი. [ბოლოს ნანახია 30.07.2020]

10) https://openscience.ge/bitstream/1/1099/1/MA%20Thesis.Chikviladze%20%20politmec.pdf, ჩიკვილაძე მ., „ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე“, თბ., 2017. გვ.20-21 [ბოლოს ნანახია31.07.2020]

11) https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/salome%20davitashvili.pdf?fbclid=IwAR2gjJBDo9P3ZqUA7yj0FIlr9nX-8AWk7qFo5rlFUHFFJjwbpF-aKtpVqgg, დავითაშვილი ს., „ეთნიკური ქისტების ინტეგრაციის საკითხი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში“. გვ.16-18. [ბოლოს ნანახია 01.07.2020]

12) http://eecmd.org/wpcontent/uploads/2018/10/%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_EECMD_HCNM_2018.pdf?fbclid=IwAR2gjJBDo9P3ZqUA7yj0FIlr9nX-8AWk7qFo5rlFUHFFJjwbpF-aKtpVqgg, კვაშილავა ბ.,ავტორობით „ეროვნული უმცირესობების ჩართულობა საქართველოს პოლოიტიკურ ცხოვრებაში“ ,პუბლიკაცია, 2018წელი. [ბოლოს ნანახია 21.06.2020]

13) http://tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf, სართანია ქ., სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის განწყობა, კვლევა, თბილისი 2017 წელი, გვ.14 . [ბოლოს ნანახია 22.06.2020]

14) https://openscience.ge/bitstream/1/1019/1/MA%20Thesis.Karosanidze%20%20kultura.pdf , ქაროსანიძე თ. „ქართველი ქალის სოციალური პრობლემები და მათთან გამკლავების სტრატეგიები პროექტის „ქალები საქართველოდან“ მაგალითზე“, თბ., 2017 წელი.[ბოლოს ნანახია 06.07.2020]

15) https://www.gfsis.org/files/my-world/4/Georgia.pdf , ქიქოძე ა., „ჩემი სამყარო“ ჟურნალი ახალგაზრდებისთვის, 2014 წელი.[ბოლოს ნანახია 20.06.2020.]

16) https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/01/needs-assessment-of-ethnic-minority-women-in-georgia, „ეთნიკური უმცირესობების

ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში“, თბ., 2014წ. გვ.42-43[ბოლოს ნანახია23.07.2020]

17) https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/,
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019 წლის გამომცემლობა, გვ.39-45. 13.[ბოლოს ნანახია 16.07.2020.]

18) https://rm.coe.int/hate-crime-hate-speech-and-discrimination-in-attitudes-and-awareness-g/16808ef62b, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა, კვლევა ჩატარდა CRRC საქართველოს მიერ პროექტისთვის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, საბჭო, 2018წ.[ბოლოს ნანახია 22.07.2020]

19) https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A9%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C/29947703.html,
2019 წელი.[ბოლოს ნანახია 24.07.2020]

20) http://www.mdfgeorgia.ge/uploads/mdf/uploads//BCG_kvleva.pdf, BCG research-ის მიერ მომზადებული კვლევა „ეთნიკურ უმცირესობებთან თემების ასახვა მედიაში“, 2010 წელი. [ბოლოს ნანახია 25.06.2020]

21) https://presa.ge/?m=society&AID=57492 , 20.04.2018.

22) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0 ევროპის ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, სტრასბურგი, 1.02.1995წ. [ბოლოს ნანახია 28.07.2020]

23) https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history , ევროპის ჩარჩო კონვენცია.[ბოლოს ნანახი 14.07.2020.]

24) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. [ბოლოს ნანახია 27.07.2020]

25) https://1tv.ge/news/qetevan-cikhelashvili-etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-chartuloba-qveynis-da-sazogadoebriv-ckhovrebashi-ert-ert-yvelaze-prioritetuli-mimartulebaa/ 07.06.2019. [ბოლოს ნანახია 26.07.2020]

26) https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=34, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. [ბოლოს ნანახია 29.07.2020]

27) http://kvira.ge/361721, 7.11.2017. [ბოლოს ნანახია 20.07.2020]